| 4 | „გრუზია“ ნაკვეთი1 | 3/XI-1997წ. | 37,75 | 62,25 | 14,5 | 24,3 0,64 | 2,5 22,61 |
| 5 | „——“ | 20/XI-1997წ. | 37,74 | 62,26 | 13,8 | 44,0 1,1 | 2,6 24,23 |
| 6 | „——“ | 30XI-1997წ. | ხეზე უკვე აღარ იყო ფოთლები | | | | |

ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ გვიანი შემოდგომის თუთის ფოთლის ქიმიური შემადგენლობა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის,



მაგრამ ყოველმხრივ გამართლებულია მისი საკვებად გამოყენება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნედლი სახით გაუხეშებული ფოთლის გამოყენება სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ასეთი ფოთოლი შეიცავს საკმაო ოდენობით საპონინებს (ნ.ზ. ამბაკოძე) რაც საკვების ზარისხის უარყოფითად მარცვებლად ითვლება. თუ როგორი იქნება იგი გამოშრობის შემდეგ, ზამთრის პერიოდში გამოყენებისათვის, მომავალი მუშაობა გვიჩვენებს.

შემოდგომაზე დამზადებული გაუხეშებული თუთის ფოთლის მეცხოველეობაში საკვებად („ნეკერი“) გამოყენების შესაძლებლობისა და მისადაგებული ტექნოლოგიების შემუშავებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ქედის რაიონის სოფ. მერისის ფერმერები. ასე მაგალითად 1998 წლის გაზაფხულზე მეველად თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე დაირგო 9 სხვადასხვა ჯიშის (ფორმის) თუთის ნერგი. ნარგაობა კარგად განვითარდა და საუკეთესო შედეგები მიიღეს, რაც ამ ზონაში მეაბრეშუმეობის განვითარების რეალურ საფუძველს ქმნის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთაგორიანი რელიეფი, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, რთული გეოლოგიური აღნაგობა, ჰიდროლოგიური ქსელის თავისებურება და არაერთგვაროვანი გეოგრაფიული გარემო, განსაკუთრებით „ზემო აჭარაში“, მეაბრეშუმეობის განვითარების მეტად განსხვავებულ პირობებს ქმნის. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის და ნარჩენების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების სისტემის შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას.

ზემო აჭარის მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, შრომითი რესურსების და საწარმოო საშუალებების რაციონალურად გამოყენების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მეაბრეშუმეობას. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ რეგიონში მეთუთეობის განვითარება არა მარტო მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის განმტკიცების, არამედ ნიადაგების წყლისმიერი ეროზიისაგან დაცვისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის დანაკლისის შევსების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით თუთის შერჩეული ჯიშებით (ჰიბრიდებით) ნარგაობის გაშენების მიზანი უნდა იყოს:

- ა) მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის განმტკიცება (ქედა, შუახევი) და ნარჩენების მეცხოველეობის სხვა დარგებში გამოყენება;
- ბ) წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერება (ზოგიერთი თუთის ჯიშის ფესვები ნიადაგში ჩადის 4 მეტრზე მეტ სიღრმეში და საუკეთესოდ იცავს ნიადაგს) და მდინარეთა ნაპირების გამაგრება;
- გ) ტყის ბინადართა (ფრინველთა) გამრავლების პერიოდში ძვირფასი საკვებით (ნაყოფით) უზრუნველყოფა;
- დ) ძვირფასი ავეჯისა და საკრავი ინსტრუმენტების დამზადებისათვის საჭირო მასალით უზრუნველყოფა და ა.შ.

ზემო აჭარაში აბრეშუმის ჭკის განმეორებითი გამოკვების ჩატარება საერთოდ არ არის რეკომენდებული, მაგრამ, კონკრეტული პირობების



გათვალისწინებით შემოდგომის, თუთის გაუხეშებული ფოთლის დამზადება მეცხოველეობაში გამოსაყენებლად ნამდვილად ყურადღების ღირსია. მითუმეტეს, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობას „ნეკერის“ დამზადება – შენახვისა და ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის საკვებად გამოყენების მდიდარი ტრადიციები გააჩნია.

ნეკერის დასამზადებლად, ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესობას წიფელს, რცხილას, ცაცხვს ანიჭებს, რადგან ამ მცენარეებიდან დამზადებულ ნეკერს ბუნებრივი შრობის დროს ფოთოლი ნაკლებად ცვივა. და სხვა საჭირო თვისებებიც გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ:

ა) შეგვესწავლა შემოდგომაზე დამზადებული თუთის ფოთლის კვებითი ღირებულება მეცხოველეობაში საკვებად გამოყენების თვალსაზრისით;

ბ) შეგვეჩინა დაავადება ფოთლის სიხუჭუჭისადმი მედეგი ძლიერი ფესვთა სისტემის მქონე თუთის ისეთი ჯიშები, რომელთაგან დამზადებული ფლორტები (1/3 წაკვეცი) კარგად მიესადაგება „ნეკერის“ დამზადების ტექნოლოგიურ მოთხოვნებს.

გ) ადგილობრივი კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით შეგვეჩინა ნარგავობის გაშენების ტიპები და გაგვესაზღვრა მცენარეთა კვების არე. (1X1; 1X2; 2X2 ბუჩქოვანი, საშუალო შტამბოვანი თუ მაღალ შტამბოვანი), ამასთან დასმული ამოცანების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს თუთის უნაყოფო, ნაკლებმსხმოიარე, ძლიერმსხმოიარე ჯიშები და ა.შ.

ცნობილია, რომ კონკრეტულ ბუნებრივ – ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მთიანი აჭარის მეცხოველეობაში (განსაკუთრებით ზამთარში) არსებობს საკვების სერიოზული დეფიციტი. რაც სხვა მიზეზთა შორის გამოწვეულია უხეში საკვების რაოდენობრივი სიმცირისა და დაბალი ხარისხის გამო. ამ დანაკლისის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა ისეთი კულტურების მოვლა-მოყვანა, რომლებიც კარგად შეეგუება ადგილობრივ პირობებს, იქნება უხვმოსავლიანი, საკვები ელემენტებით მდიდარი და შეეცეს არასრულფასოვან საკვებს, ცხოველისათვის საჭირო ორგანული და არორგანული ნივთიერებებით. როგორც ზემოთ აღინიშნა ასეთ არატრადიციულ ნედლეულს წარმოადგენს შემოდგომაზე დამზადებული თუთის ფოთოლი, რომელიც მისადაგებული ტექნოლოგიებით დამუშავების შემთხვევაში კალორიებით მდიდარ საკვებს იძლევა. „ნეკერის“ დამზადების ტრადიციული ნედლეულის (წიფელი, ცაცხვი, რცხილა), შეცვლა თუთის ფოთლით პირველად ფერმერმა მეკლუდ თურმანიძემ სცადა და კარგი შედეგიც მიიღო. ამით მეზობელი ფერმერებიც დაინტერესდნენ და დახმარებისათვის მიმართეს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სამინისტრომ, პრობლემის კიდევ უფრო ღრმა შესწავლისა და სათანადო ჯიშების სარგავი მასალებით დახმარების მიზნით წერილობით (2008 წ. 15 ოქტომბერი, №01-13/228) მიმართა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტიდან „საქართველოს თუთის გენოფონდის დაცვა-გამდიდრება; მაღალპროდუქტიული მიკოპლაზმური დაავადებისადმი მედეგი ჯიშების გამოყვანა, დარაიონება და გავრცელება ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით“.



ფერმერებს უფასოდ გამოუყო 350 ძირი თუთის ნერგი და პროექტის ხელმძღვანელობას დაევალა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სამეცნიერო – კვლევითი მუშაობის გაგრძელება.

მომავალში, პრობლემის შესწავლის საქმეში საჭიროების მიხედვით ჩაერთვებიან ზოოტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები.

2008 წლის ოქტომბერში მ. თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებული ნარგაობიდან აღებული იქნა თუთის ფოთლის ნიმუშები ბიოქიმიური ანალიზისათვის, რომლის შედეგები მოტანილია მეორე ცხრილში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საცდელად გაშენებული 9 ჯიშის (ფორმის) მცენარიდან, არცერთზე არ ყოფილა შემჩნეული თუთის ფოთლის სიხუჭუჭით დაავადების შემთხვევა, რაც ამ ჯიშების (ფორმების) რეგიონში წარმატებით გავრცელების საშუალებას იძლევა.

ცხრილი 2

თუთის ფოთლის ბიოლოგიური ანალიზი

| № | შპრ ნივთ | პრ ოტ უნი | ცხი ში | უჯ რე და-ნა | უენ | ნაცარი | P | Ca | მონელებადობა, % | | | | |
|---|----------|-----------|--------|-------------|-----|--------|-----|------|-----------------|-----------|---------|-----------|-----|
| | | | | | | | | | ენრ გი | ნ/პ რო ტ. | ნ/ც ხიმ | ნ/უ ჯრ ელ | უენ |
| 1 | 860 | 136 | 27 | 248 | 418 | 118 | 3,2 | 11,8 | 66 | 69 | 57 | 66 | 72 |
| 2 | 850 | 143 | 31 | 251 | 423 | 123 | 3,1 | 11,2 | 61 | 63 | 54 | 61 | 67 |

განმარტება: თუ ყუათიანობის დადგენა გსურთ ენერგეტიკული საკვები ერთეულის და მიმოცვლის ენერჯის დასადგენად, ეს მონაცემები უნდა ჩაისვას რეგრესულ განტოლებაში და ჩატარდეს გაანგარიშება.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფელ მერისში „გრუზიას“ ჯიშის თუთის ნარგაობა მთლიანად განადგურდა, ხოლო 1998 წელს გაშენებულ საცდელ ნაკვეთზე არც ამ ჯიშის მცენარეზე ყოფილა შემჩნეული დაავადება ფოთლის სიხუჭუჭე. ეს ძალიან საინტერესო საკითხია და აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი.

შემოდგომაზე სხვადასხვა ჯიშისა და ვადების მიხედვით დამზადებული ფოთლის ყუათიანობა, ენერგეტიკული საკვები ერთეულისა და მიმოცვლის ენერჯია ცალკე საბოლოო შედეგების მიხედვით იქნება განხილული.

პრობლემის რეგიონულ ჭრილში შესწავლის მიზნით 2009 წლიდან მუშაობა დაიწყო აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში, სადაც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის კარგი პირობებია შექმნილი; სახელდობრ, სადგურს გააჩნია 33 ჰა თუთის პლანტაცია და საკმარაოდენობის აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები შენობა – ნაგებობები, რაც გამოყენებული იქნება დამზადებული „ნეკერის“ შესანახად, გვიანი



შემოდგომიდან ადრე გაზაფხულის ჩათვლით. ამ თემის დამუშავებასთან დაკავშირებით ბაზამ შეიძინა რამდენიმე სული იმერული ჯიშის ცხვარი, რომელიც ზამთარში გამოიკვება გვიან შემოდგომაზე დამზადებული „ნეკერი“ და თუთის რიგშორისებში მოყვანილი სოიოს ნამჯით. ამასთან, როგორც აღინიშნა დაზუსტდება ჯიშების მიხედვით „ნეკერის“ დამზადების ოპტიმალური ვადები, შემუშავდება შესაბამისი ტექნოლოგიები, შეისწავლება მექანიზაციის საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა და განისაზღვრება საკვების წამოების ეკონომიკური ეფექტიანობა. რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით განისაზღვრება მეაბრეშუმეობისა და მეცხვარეობის (მეთხეობის) რაციონალური შეთანაწყობის პრინციპები, მომზადდება სათანადო ინსტრუქცია და გადაეცემა შესაბამის ორგანოებს დასამტკიცებლად და წარმოებაში გასავრცელებლად.

Feasibility of application of coarse mulberry leaf gathered in late autumn as fodder for cattle breeding, development of appropriate Technologies and economic efficacy

Giorgi Nikoleishvili

Doctor of Economic sciences, Professor,
Corresponding Member of Academy of Agrarian Sciences

Bidzina Korakhashvili

Doctor of Agrarian Sciences, Professor

Besik Sakandelidze

Candidate of Agrarian Sciences, Assistant Professor,

Sergo Turmanidze

Candidate of Economical Science,

Associated Professor,

Emzar Choladze


Candidate of Agrarian Sciences

**Abstract
(Internet Version)**

Stable fodder base is the necessary material basis for the progress of livestock breeding. It defines the quantitative aspect of the development of the branch, its productivity, product quality and economic efficiency.

Lately, irrespective of increase of cattle number, we observe a tendency of decrease of areas apportioned for sowing of fodder crops. Production of grass flour and silage has almost been stopped. Fertility of arable lands is low. Deficiency of fodder base and ration poorness with the view of diversity has become clear.

In future, for Georgia, as the small-land country, it will become still harder to increase areas under fodder crops and we have to follow the course towards elevation of intensification rate. At the same time, specific emphasis



should be made on assimilation of cheap, nontraditional material that will be rich in nutritious elements and will fill in the existing deficiency.

According to the results of studies implemented at the Educational-Research Institute of Sericulture, coarse mulberry leaf stored in autumn is namely the material we need. It is quite natural that such leaf is worthless for feeding mulberry silkworm, but it can be successfully used in animal husbandry, for preparation of leaf, stored for winter in autumn, as well as leaf flour and other types of fodder.

In all cases we'll have to study biochemical characteristics of leaf and determine its nourishing value. Works in this direction will be still more extended in future. The feasibility and economic efficiency of application of the leaf prepared in spring from various plantations of recommended mulberry varieties, in its direct designation, as well as those of the leaf stored in autumn for winter, leaf flour and other types of fodder will be studied at Kutaisi Zonal Station of Sericulture.

ავთანდილ ლაფაჩი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

წარმოადგინა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეზიუმე
(ინტერნეტული ვერსია)

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და ეს გამოიხატება რამდენიმე პარამეტრში: მცირდება დასაქმება, კერძო სტრუქტურები ამცირებენ თანამშრომლებს. ყოველივეს ამის შედეგი კი ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შემცირებაა. ეს ეხება როგორც მრეწველობის ისე სამშენებლო თუ სხვა სექტორს, რომელიც თითქმის გაჩერებულია. პრაქტიკულად გაჩერებულია ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორი. ასე, რომ კრიზისული ვითარება აშკარად ჩამოყალიბდა.

ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ გარდაუვალია ლარის დევალაცია. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ გაიზრდება საქსპორტო წარმოება და ექსპორტ-იმპორტის არსებული თანაფარდობა ექსპორტის სასარგებლოდ არ შეიცვლება, ან, უწყვეტი ინვესტიციების დიდი ოდენობით შემოდინება კვლავ არ აღდგება, და უცხოეთიდან ფულადი გზავნილები ადრინდელ მასშტაბებს არ მიაღწევს.

გვეჩვენა თუ არა, ამის გამო, სავალუტო კრიზისი? გვაქვს ყველა საშუალება, რომ კრიზისი თავიდან ავიცილოთ. ჯერ ერთი, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები მილიარდ დოლარზე მეტია, მეორე – ის, რომ 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ევროკავშირიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სხვა დონორი ქვეყნებიდან საქართველომ უნდა მიიღოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება. უცხოური ვალუტის შემოდინება ასე თუ ისე მაინც იქნება, ჯერ ერთი საქართველოს მოქალაქეები კვლავ გამოაგზავნიან ფულად საშუალებებს და მეორეც ქვეყანაში შემოდის ინვესტიციებიც, ანუ ობიექტურად, სავალუტო კრიზისის მოლოდინი საქართველოში არ არის.

ამჟამად მსოფლიოში მწვავე ფინანსური კრიზისია, რაც ამერიკის შერთებული შტატების იპოთეკურ ბაზარზე შექმნილმა დისპროპორციებმა წარმოშვა.

საქართველოს მთავრობა აპირებს, რომ მსოფლიო კრიზისის დროს თვითონ გახდეს ინვესტორი. ამ მიმართულებით მან ერთმილიარდიანი



პროექტი შეიმუშავა. 300 მლნ ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას მოხმარდება, 160 მლნ ლარი – სხვადასხვა მცირე პროექტს, მათ შორის საირიგაციო და ნაპირსამაგრ სამუშაოებს, 120 მლნ ლარი გამოიყოფა დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, 120 მლნ ლარი თბილისში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაზე, 120 მლნ ლარი – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის, 66 მლნ ლარი რეგიონების ფონდისთვის, 20 მლნ ლარი სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამებს მოხმარდება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საგადასახდელო ბალანსის ცალკეული მუხლის პროგნოზირების მიზნით, ადგილობრივი და უცხოური კომპანიების გამოკითხვა ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავდა 2009 წლის განმავლობაში ქვეყანაში კერძო უცხოური კაპიტალის მოსალოდნელი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 119-მა კომპანიამ. გამოკითხვის შედეგების წინასწარი მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში კერძო სექტორის მიერ 1.74 მლრდ აშშ დოლარის წმინდა შემოდინებაა მოსალოდნელი. აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება ეროვნული ბანკის მიერ გამოკითხვის ჩატარებამდე არსებულ პროგნოზებს. 2009 წელს საქართველოში კაპიტალის შემოდინების მიხედვით, ლიდერობენ: არაბეთის გაერთიანებული საამიროები, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი და აზერბაიჯანი.

გამოკვლევის პირველადი შედეგების მიხედვით, 2009 წელს საქართველოში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, დაახლოებით, 815 მლნ აშშ დოლარის, ხოლო პორტფელის ინვესტიციების სახით 33 მლნ აშშ დოლარის შემოდინებაა მოსალოდნელი. რაც შეეხება ერთობლივ სესხებსა და სხვა სახსრებს, ნავარაუდევია, დაახლოებით, 1 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვა.¹

გასათვალისწინებელია, რომ კვლევის შედეგები ასახავს მოლოდინს და შესაბამისად რეალური შემოდინება შესაძლებელია პროგნოზისგან განსხვავდებოდეს. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ მაღალია პროექტების კონცენტრაციის დონე. შესაბამისად, ინვესტიციების შემოდინების მთლიანი მოცულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცალკეული მასშტაბური პროექტის წარმატებაზე. აღნიშნული ტიპის კვლევებს ატარებს მსოფლიოს ცენტრალური ბანკების უმეტესობა. ჩატარებული გამოკვლევების მიუხედავად, ფაქტიურად ირკვევა, რომ საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტების ზრდა არ შეიმჩნევა.

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და ეს გამოიხატება რამდენიმე პარამეტრში: – მცირდება დასაქმება, კერძო სტრუქტურები ამცირებენ თანამშრომლებს. ამ ყოველივეს შედეგი კი ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შემცირებაა. ეს ეხება როგორც მრეწველობის ისე სამშენებლო თუ სხვა სექტორს, რომელიც თითქმის გაჩერებულია. პრაქტიკულად გაჩერებულია ეკონომიკის თითქმის ყველა

¹ www.nbg.gov.ge პრესრელიზი „საქართველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის საპროგნოზო უცხოური ინვესტიციების შესახებ კვლევის პირველადი შედეგები“, 2009 წელი, იანვარი.



სემენტი. ასე, რომ კრიზისული ვითარება აშკარად ჩამოყალიბდა მიუხედავად ამისა მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანას კატასტროფა მაინც არ ემუქრება, ამის განცხადების უფლებას ეკონომიკური დახმარების შესახებ 2008 წლის 22 ოქტომბრის ბრიუსელის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები გვაძლევს, სადაც გადაწყდა, რომ 2010 წლის ჩათვლით საქართველოში უნდა შემოვიდეს 4,5 მლრდ დოლარის გრანტი და კრედიტი. ეს დახმარება, გამოყენებული იქნება აუცილებელი სოციალური და სარეკონსტრუქციო საშუალების დასაფინანსებლად და ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის პროცესს. ამ თანხიდან 400 მლნ აშშ დოლარი საბანკო სექტორის გამოცოცხლებას მოხმარდება, რაც დიდი რაოდენობის თანხა იმისთვის, რომ ქვეყანამ თავი დააღწიოს ფინანსურ პრობლემებს და კატასტროფის წინაშე არ აღმოჩნდეს.

ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ გარდაუვალია ლარის დევალვაცია. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ არ გაიზრდება საექსპორტო წარმოება და ექსპორტ-იმპორტის არსებული თანაფარდობა ექსპორტის სასარგებლოდ არ შეიცვლება, ან, უწყვეტი ინვესტიციების დიდი ოდენობით შემოდინება კვლავ არ აღდგება, და უცხოეთიდან ფულადი გზავნილები ადრინდელ მასშტაბებს არ მიაღწევს.

ამ სამი კომპონენტიდან ყველაზე რთული პირველი – საექსპორტო პოტენციალის ზრდაა.

უცხოური ინვესტიციების შემოსვლა გლობალური ფინანსური კრიზისის შეწყვეტაზე და საქართველოს ძველი იმიჯის დაბრუნებაზეა დამოკიდებული. უცხოეთიდან გზავნილების აღდგენა კი მხოლოდ და მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის დასრულებაზეა დამოკიდებული.

– „ამ სამი გარემოების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს აქვს რესურსი, რომ ძალიან მოკლევადიან პერიოდში აკონტროლოს ლარის გაცვლითი კურსი. ეს არის დოლარში გამოხატული რეზერვი, რომელიც მილიარდ 400 მილიონს აღემატება. მაგრამ ამ რეზერვით მხოლოდ ლარის მცოცავი დევალვაციის უზრუნველყოფა შეიძლება და არა მოთოკვა.“²

– „ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი მოვლენა. ერთი მათგანი დაკავშირებულია იმ ტენდენციასთან, რომელიც დღეს გლობალურ ბაზარზე ჩამოყალიბდა დოლარის გამყარებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, დოლარის გამყარება არ არის აბსტრაქტული: ის ყველა ქვეყანაში მყარდება შესაბამის ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში. ასე რომ, დოლარის გამყარება საქართველოში, ეს არის პროცესი ლარის გაუფასურების, თანდათანობით დევალვაციის. ეს არის ობიექტური პროცესი. ჩვენ თუ გადავხედავთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ეს არის მცოცავი პროცესი ანუ მოთხოვნა იზრდება დოლარზე. მეორე, საქართველოში დოლარზე მოთხოვნა იმითაც იზრდება, რომ ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა შემცირდა; შემცირდა უცხოეთიდან ჩვენი თანამოქალაქეების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილებიც, ანუ შემცირდა დოლარის შემოდინება. ამ კუთხით დოლარის გამყარება, ეს არის

² გლადიმერ პაპავა გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ – 18-24 ნოემბერი, № 21, 2008

ობიექტური პროცესი.³

აღსანიშნავია, რომ „სტენდბაის“ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მილიონიანი დახმარება გამოუყო. პროგრამის მიზანია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. ასევე, ინვესტორთა ნდობის გაძლიერება, საერთაშორისო რეზერვების ზრდის უზრუნველყოფა და დონორთა მხარდაჭერის კუთხით კატალიზატორის როლის შესრულება. ეს არის თანხა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია მაშინ ისარგებლოს, როდესაც ჩათვლის, რომ მას ეს ფული სჭირდება. პირველი ტრანში 250 მილიონი დოლარის ოდენობით საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო და ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად გამოიყენა. ეს თანხა უკვე დაინარჯა კიდევ ოქტომბერის თვეში, ლარის კურსის ხელოვნურად შენარჩუნებისათვის. შემდეგი ტრანშები, პირველის მსგავსად, დიდი რაოდენობის აღარ იქნება, 2008 წლის დეკემბერში საქართველოს შეეძლო 80 მილიონიანი ტრანში მიეღო. ამ თანხის მიღებაზე უარი იმით აიხსნება, რომ დახმარებები შემოვიდა სხვადასხვა არხებით, მათ შორის აშშ-ს 200 მილიონიანი დახმარებაც. ეს ფული ბიუჯეტში მიდის, მაგრამ ლარებად, ანუ მთავრობა ეროვნული ბანკისგან ლარებს ყუდულობს, შესაბამისად, ეროვნული ბანკის რეზერვებს დოლარი ემატება. ამ შემთხვევაში საშიშ მოვლენასთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა ამ გადაწყვეტილებას აქვს ერთი მინუსი. —,როდესაც ასეთ გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას სსფ აძლევს დახმარებას და ქვეყნის მთავრობა გარკვეულ ეტაპზე ტრანშის მიღებისგან თავს იკავებს, ეს იწვევს უარყოფით რეაქციას პოტენციურ ინვესტორებში, რადგან მათ ურჩევნიათ, ქვეყანას მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა ჰქონდეს სსფ-თან, რაც იმის გარანტიაა, რომ მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია არ მოხდება. თუმცა დღეს ეროვნულ ბანკს ეს თანხა ისე მწვავედ არ სჭირდება, როგორც შეიძლება მომავალში დასჭირდეს.“⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის დღევანდელ პოლიტიკას, ლარის კურსის შენარჩუნებისას, აბსოლუტურად ვეთანხმებით.

ამ ეტაპზე, ყველაზე დიდი შეცდომა იქნება, თუკი ეროვნული ბანკი შეწყვეტს ინტერვენციებს. ინტერვენციის შეწყვეტის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო მკვეთრი დაცემა, რაც ეკონომიკისთვის საზიანო იქნება. სასურველია, ეროვნულმა ბანკმა ეტაპობრივად მოახდინოს ლარის დევალვაცია, ისე, რომ ბიზნესსა და მოსახლეობას მასთან ადაპტაცია არ გაუჭირდეს. ხოლო, თუკი ლარის კურსის ნახტომისებური ცვლილება მოხდა, მაშინ ფასების ცვლილება არაპროგნოზირებადი გახდება და ბაზრისთვის სერიოზული შოკისმოგვრელი იქნება.

გვეჩნება თუ არა, ამის გამო, სავალუტო კრიზისი? გვაქვს ყველა საშუალება, რომ კრიზისი თავიდან ავიცილოთ. *ჯერ ერთი*, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები მილიარდ დოლარზე მეტია, *მეორე* — ის, რომ

³ ვლადიმერ პაპავა, გაზეთი „ახალი თაობა“ — 11 ნოემბერი, № 312, 2008

⁴ ვლადიმერ პაპავა გაზეთი „ვერსია“ — 26-28 დეკემბერი, № 152, 2008.



2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ევროკავშირიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სხვა დონორი ქვეყნებიდან საქართველომ უნდა მიიღოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება. უცხოური ვალუტის შემოდინება ასე თუ ისე მანც იქნება, ვერ ერთი საქართველოს მოქალაქეები კვლავ გამოავ ზავნიან ფულად საშუალებებს და მეორეც ქვეყანაში შემოდის ინვესტიციებიც ანუ, ობიექტურად, სავალუტო კრიზისის მოლოდინი საქართველოში არ არის. გასული წლის დეკემბრის თვეში, როგორც მოსახლეობას ასევე იურიდიული პირებს ლარის კურსის დაცემის მოლოდინი ჰქონდათ, აქედან გამომდინარე, ზდებოდა ფულადი საშუალებების შესხვილმასშტაბიანი კონვერტირება. ამიტომ, მოსახლეობის მხრიდან, დეკემბრის თვეში ლარის მასის გადაყვანა დოლარებში, თითქმის დასრულდა.

უნდა ავლნიშნოთ, რომ რაც უფრო ავტორიტეტულია საქართველოს ეროვნული ბანკი, მით უფრო ეფექტიანია ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განხორციელება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და მისი ავტორიტეტის შენარჩუნება.

World Financial Crisis and Monetary Politycy of Georgia


Avtandil Lapachi
Candidate of Economical Science

Abstract (Internet Version)

In our country there is serious economical crisis, which is expressed in some parameters: number of unemployment has been increased, their is stuff cut in private structure. Result of all this process is decrement of local products, production in industry as well as in building sector, which is almost fully ceased. The fact is that almost all segments in economy have been ceased. So crisis in Georgia is clear.

According to done researches its clear laris devaluation. This process will last until growth of exporting production and balance between export and import, or restoring of constraint great investments and reaching of same scales in sending of money from abroad.

Will it be expected monetary crisis on this background? We have all means to get rid this crisis. First of more than one billion: on the other hand by decision of 22 October, 2008 Georgia will be given 4,5 billion \$ from European Union, America, Japan and other donor countries. Foreign monetary will again flow in Georgia. Citizens of Georgia will again sent money and on the other hand in our country investment are being invested; so monetary crisis in Georgia is not being expected.


საქართველოს ეკონომიკის
და მდგრადი განვითარების
წინამძღვრობის ეროვნული ცენტრი

**ბიზნესის შეფასებისა და საწარმოს
გადახდისუნარიანობის განსაზღვრის
მეთოდოლოგიური მიდგომაში**

იოსებ ფალელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი პროფესორი,
სერგო თურმანიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,
გურამ ძაგნიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

წარმოადგინა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნიკოლეიშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეზიუმე:

(ინტერნეტული ვერსია)

ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების არსებული მეთოდოლოგია სათანადო სისრულით ვერ ავლენს რეალურ ვითარებას. ამდენად, ეს საკითხი საჭიროებს ღრმა მეცნიერულ შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. აგრობიზნესის ეფექტიანობის სრულად განსაზღვრასთან ერთად საჭიროა საწარმოს გადახდისუნარიანობის შეფასებაც. აგრობიზნესის საწარმოთა გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის არსებულ მრავალ მაჩვენებელთა შორის უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სამ ძირითად მაჩვენებელს: გრძელვადიან ვალდებულებათა ლიკვიდაციის კოეფიციენტს, მიმდინარე ლიკვიდაციის კოეფიციენტს და შუალედური ლიკვიდაციის კოეფიციენტს.

რენტაბელური საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის ვალდებულების საერთო თანხასთან შეფარდებით, ხოლო დაბალრენტაბელურ ან ზარალიან საწარმოში კი მიმდინარე აქტივების ყველა ვალდებულებების თანხასთან შეფარდებით.

ამდენად, აგრობიზნესის შეფასება შეიძლება ჩაატაროთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა. საწარმოს ქონების ღირებულების განსაზღვრა;
- ბ. რენტაბელობის, გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, ეფექტიანობის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა სისტემის გაანგარიშება და ანალიზი პერსპექტივაში.

ბიზნესი არის სამეწარმეო, სამომსახურეო და ინტელექტუალური საქმიანობის სისტემა, მიმართული გარანტირებული მოგების

(შემოსავლის) მისაღებად, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

ბიზნესის ეკონომიკური შეფასებისათვის აუცილებელია მთელი რიგი მომენტები და მეთოდოლოგიური მიდგომების გავითვალისწინება.

უკანასკნელ ხანს, სამეცნიერო შრომებში ხშირად გვხვდება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და მისი ჩატარების ხერხების მიმოხილვა, მაგრამ ისინი შემოიფარგლება ცალკეული მაჩვენებლების, კრიტერიუმების, კოეფიციენტების გაანგარიშებით, რომლებიც ძირითადად აღებულია საზღვარგარეთული ლიტერატურიდან.

ბიზნესის შეფასებისათვის, ხშირად გამოიყენება მხოლოდ მოგების და ზარალის მაჩვენებლები, რაც არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სრულყოფილმეთოდიკურ მიდგომად.

ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების დროს აუცილებელია გამოვიყენოთ წმინდა ეკონომიკური მოგება-გადასახადების გადახდის შემდეგ და იგი უნდა შევიდეს მხოლოდ დამატებით ღირებულებაში, ამიტომაც წმინდა მოგება ითვლება ბიზნესმენის ნამდვილ მოგებად.

ამრიგად, ბიზნესის ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- წარმოადგენს თუ არა ბიზნესი გარკვეულწილად მომგებიანს; რამდენად საკმარისია ლიკვიდურობის მაჩვენებელი; ანაზღაურდება და გაიზრდება თუ არა საკმარისი მოცულობით აქტივები; არსებობს თუ არა ეკონომიკური ზრდის ალბათობა მომავალში და ა.შ.

- საწყისი მონაცემების შეგროვება და მაჩვენებლების გაანგარიშება აუცილებელია იმ მიზნით, რომ ბიზნესმენმა მიიღოს ესა თუ ის ალტერნატიული მმართველობითი გადაწყვეტილება, რომლებიც უზრუნველყოფს ბალანსის დაცვას, ერთის მხრივ გაყიდვების მოცულობაზე კონკურენტებსა და მეორეს მხრივ- საქონლის და მომსახურების მოგებას შორის.

მოგების განსაზღვრასთან ერთად საჭიროა საწარმოს გადახდისუნარიანობის შეფასება. იგი წარმოადგენს ბიზნესმენის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი საგადახადო ვალდებულებანი, რომლებიც ეხება სავაჭრო, საკრედიტო და სხვა ფულად ხელშეკრულებებს.

გადახდისუნარიანობის შეფასების ტრადიციული მეთოდიკა ემყარება მრავალ ეკონომიკურ მაჩვენებელს. ისინი გაიანგარიშება აქტივების ლიკვიდაციის საფუძველზე. ზოგიერთი იყენებს კაპიტალის სტრუქტურის ყველა მაჩვენებლების შეფარდებას, საკუთარი კაპიტალის მთლიან ვალდებულებებთან (მოკლევადიანი, გრძელვადიანი) და საბალანსო მოგების შეფარდებას მოკლევადიან ვალდებულებათა მიხედვით შესრულებულ პროცენტთან.



ერთის მხრივ, მეცნიერთა მიდგომებში შეიმჩნევა ერთი და იგივე გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების განსხვავებულად გამოყენება. ასე მაგალითად: ზოგიერთის აზრით გადახდისუნარიანობის საერთო კოეფიციენტი გაანგარიშებული უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ვალდებულებათა მთლიან თანხასთან.

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\sum \text{მთლიანი ვალდებულებანი}}$$

ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოების ფინანსურ-სამეურნეო ანალიზის ჩატარების მეთოდით, გათვალისწინებულია გაანგარიშებული იქნეს საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გაანგარიშება, როგორც მიმდინარე აქტივების შეფარდება ვალდებულებათა მთლიან თანხასთან:

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\sum \text{მთლიანი ვალდებულებანი}}$$

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა აბსოლუტურ მნიშვნელობებში. დასავლეთის ეკონომისტები რეკომენდაციას უწევენ იმ მიდგომას, როცა მიმდინარე (საერთო) ლიკვიდურობის კოეფიციენტი მნიშვნელობა ტოლია 2, ხოლო შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.

ჩვენი ქვეყნის ეკონომისტები რამდენადმე უფრო დაბალი მნიშვნელობის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა გამოყენებას ემხრობიან კერძოდ, გადახდისუნარიანობის მნიშვნელობა ტოლი უნდა იყოს 1; აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.25-0.30; შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0-1; მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.

ზოგიერთ ქვეყანაში, გადახდისუნარიანობის ასეთმა გაანგარიშებამ ვერ გაამართლა იმ მიზეზით, რომ დასავლეთის ქვეყნებში ბიზნესი ფუნქციონირებს შედარებით უფრო ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში (არ არსებობს ინფლაცია, გადახა ხდება დროულად, ნედლეულს გააჩნია სტაბილური ფასი და ა.შ.). ამიტომ, ჩვენი ეკონომიკის პირობებში მიზანშეწონილია საწარმოს პოტენციალური გადახდისუნარიანობისადმი გაცილებით მაღალი მომთხოვნელობა.

ჩვენი აზრით, რეკომენდაცია უნდა მიეცეს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელს, რომელიც გაიანგარიშება, აქტივების შეფარდებით გრძელვადიან ვალდებულებებთან.

აქტივები

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = -----
გრძელეკადიანი ვალდებულებები

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ მაგალითები:

მაგალითი 1: გავიანგარიშოთ ნორმალურად მომუშავე საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.

დავუშვათ, რომ საკუთარი კაპიტალის მოცულობა წლის ბოლოს 688.4 ათასი ლარის ტოლია; ყველა ვალდებულებათა თანხა (გრძელეკადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 368.2 ათას ლარს.

გადაწყვეტა: საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი საანგარიშო წელს გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებების საერთო თანხასთან შეფარდების გზით:

$$688.4$$

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ----- = 1.90

$$368.2$$

მოცემული მაჩვენებელი მოწმობს საწარმოს წარმატებულ მუშაობის სტაბილურობას.

მაგალითი 2: გავიანგარიშოთ საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი დაბალრენტაბელურ (ზარალთან) საწარმოში.

დავუშვათ, რომ საწარმოს მიმდინარე აქტივები წლის ბოლოს შეადგენს 482.2 ათას ლარს; ხოლო ყველა ვალდებულებათა თანხის ჯამი 688.0 ათას ლარს.

გადაწყვეტა: საწარმოს მთლიანი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი საანგარიშო წელს გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების, ყველა ვალდებულებების თანხასთან შეფარდების გზით:

$$482.2$$

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ----- = 0.70

$$688.0$$

ეს მაჩვენებელი მიგვანიშნებს საწარმოს არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე.

Methodology of Estimation of Business Activity and Definition of Solvency of Manufacture in Agrarian Sphere



Joseph Palelashvili

Cand of .Econ.Sci., the assistant professor,

Sergo Turmanidze

Cand of .Econ.Sci., the associated professor,

Guram Dzagnidze

Cand of .Econ.Sci., the associated professor

Abstract

(Internet Version)

The methodology of estimation of business activity does not display up that real position which more precisely displays a successful activity of agrobusiness.

Therefore, this question demands a deep scientific studying and working out of corresponding recommendations. Together with the definition of full profitability of efficiency of business activity, the estimation of solvency of manufacture is necessary. Among a set of indicators for the full estimation of manufactures of agrobusiness, an advantage should be given to three basic indicators, in particular, to factors of liquidation of long-term obligations, current liquidation and intermediate liquidation. The factor of solvency of highly profitable manufacture is calculated by a parity of own capital with a total sum of obligations, and unprofitable manufactures by a parity of current actives with the sum of all obligations.

Hence the agrobusiness estimation can be spent with the following sequence:

1. Definition of cost of a condition of manufacture;
2. Calculation and the analysis of indicators of profitability, solvency, financial stability, efficiency and economic growth on prospect.

გურამ ძაგნიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,
იოსებ ფალელაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი პროფესორი,
სერგო თურმანიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

წარმოადგინა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნიკოლეიშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ
ღონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და
მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეფერატი:

(ინტერნეტული ვერსია)

საწარმოთა მდგრადი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება
გამოხატული იქნეს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი სისტემით,
რომელშიც ყოველმხრივ იქნება ასახული საწარმოს ბალანსის
სტრუქტურა. მაგრამ ამ მაჩვენებელთა სიმრავლე ზოგჯერ ართულებს
ბიზნესსაქმიანობის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას.
ამიტომ მიზანშეწონილია უპირატესობა მივანიჭოთ მაჩვენებელთა
მხოლოდ ნაწილს დამატებით შემოვიღოთ ისეთი კოეფიციენტები
როგორცაა: დავალიანების, ვალების გადახდის ვალდებულების,
საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის და ფინანსური
მდგრადობის კოეფიციენტები. აგროსაწარმოს ფინანსური მდგომარეობის
სრულყოფილად შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ
ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი, რომელიც უფრო
ნათელ წარმოადგენს მოგვეცემს საწარმოს (ფირმის) ფუნქციონირების
ეფექტიანობის კომპლექსურ შეფასებაზე.

ეკონომიკური ზრდის თეორია ითვალისწინებს ეფექტიანობის
ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორცაა ფინანსური ეფექტი-
ანობა, საწარმოო და საფინანსო ლევერიჯი. საწარმოს და ფინანსური
ლევერიჯის შეფასებათა მაჩვენებლებში სარეკომენდაციო მაჩვენებლად
მიგვაჩნია ინტეგრალური ლევერიჯი, რომელიც სრულად გამოავლენს
საწარმოში ეკონომიკური ზრდის საერთო შესაძლებლობებს.



გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი შესაძლებლობას არ სრულად შევასოდ აგრობიზნესის ფინანსური მდგომარეობა, რამდენადაც იგი უფრო მეტად, გამოხატავს საწარმოს ვალდებულებას აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი სისტემით, რომელშიც ასახული იქნება საწარმოს ბალანსის შემდეგი სტრუქტურა:

1. ავტონომიის კოეფიციენტი- საკუთარი საშუალებები შეფარდებული საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამთან). სარეკომენდაციოდ მისაღებია ≥ 0.5 ;
2. ფინანსური არამდგრადობის კოეფიციენტი- ნასესხები კაპიტალის შეფარდება საკუთარ საშუალებებთან. მისაღები მაჩვენებელია 0.25-1.00;
3. მობილური და არამობილური საშუალებების შეფარდების კოეფიციენტი- ეს არის დანაზოგი თანხის, ხარჯების, ფულადი საშუალებების შეფარდება დანარჩენ არასაბრუნავ აქტივებთან;
4. საწარმოო დანიშნულების საშუალებათა კოეფიციენტი- ძირითად საშუალებათა ღირებულების საწარმოო მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების ღირებულების შეფარდება საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამი). მისაღებია ≥ 0.5 ;
5. ძირითად საშუალებათა ღირებულების კოეფიციენტი- ძირითად საშუალებათა ნარჩენი ღირებულების შეფარდება საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამი).
6. კრედიტორული დავალიანების კოეფიციენტი- გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების შეფარდება, მზა პროდუქციის, დებიტორებთან ანგარიშსწორების და სხვა საბრუნავი აქტივების ღირებულებასთან. მისაღები მნიშვნელობაა 0.2;
7. დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი- (ნასესხები და საკუთარი საშუალებების შეფარდების კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი). მისაღები მნიშვნელობაა > 4.0 ;
8. გაკოტრების კოეფიციენტი- საიჯარო ვალდებულების, დამფუძნებლებთან გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულების ანგარიშსწორების თანხის შეფარდება, გრძელვადიანი, მიმდინარე აქტივების თანხასთან. მისაღები მნიშვნელობა < 0.5 ;
9. ავტონომიის კოეფიციენტი- საკუთარი საშუალებების თანხის შეფარდება გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების თანხასთან. მისაღები მნიშვნელობა ≥ 0.5 ;
10. ფინანსური დამაბულობის კოეფიციენტი- სხვაობა ერთეულსა და ავტონომიის კოეფიციენტს შორის. მისაღები მნიშვნელობაა < 0.5 ;
11. მიმდინარე მარაგებით და დანახარჯებით შექმნილი საკუთარი



საბრუნავი საშუალებების კოეფიციენტი- საკუთარი საშუალებების წყაროს გამოკლებული გრძელვადიანი აქტივები და შეფარდებული მიმდინარე აქტივების ღირებულებასთან. მისაღები მნიშვნელობაა 0.5-0.6;

12. ძირითად საშუალებათა განახლების კოეფიციენტი- ცვეთის შეფარდება გრძელვადიანი აქტივების პირველდაწყებით ღირებულებასთან;

13. ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი- რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული რენტაბელობის ზღვარი, შეფარდებული რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან;

14. დავალიანების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი- მოგების (გაღსახადები გადახდამდე) შეფარდება წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტის თანხასთან. მისაღები მნიშვნელობაა ≥ 3.0 ; ასეთი მრავალი მაჩვენებელი ართულებს ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ეკონომისტები იყენებენ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მხოლოდ ნაწილს.

მოტანილი მაჩვენებლების ანალიზი მოწმობს იმას, რომ მათი უმეტესობა წარმოებულია ნასესხები და საკუთარი საშუალებების შეფარდებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს კოეფიციენტები, რომლებიც გამოხატავენ ქონების, ცვეთის, ვალების დაფარვის და ფინანსური მდგრადობის ღირებულებებს.

ამასთან დაკავშირებით, აგრარული სფეროს ბიზნესმენებს საკუთარ საწარმოთა ფინანსური შეფასების გასაჯანსაღებლად შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი მაჩვენებლები:

1. დავალიანების კოეფიციენტი - K

\sum მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი.

$$K = \frac{\sum \text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი}}{\sum \text{აქტივები}};$$

\sum აქტივები

\sum მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი

$$K = \frac{\sum \text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი}}{\sum \text{საკუთარ საშუალებათა წყარო}}$$

\sum საკუთარ საშუალებათა წყარო

2. ვალების გადახდის ვალდებულების კოეფიციენტი - K

საექსპლოატაციო მოგება გადახდების ანაზღაურებამდე

$$K = \frac{\text{საექსპლოატაციო მოგება გადახდების ანაზღაურებამდე}}{\sum \text{პროცენტის თანხა}}$$

\sum პროცენტის თანხა

3. საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი - K

Σ საკუთარ საბრ. საშუალ. წყარო-Σ გრძელვად. და სხვა არასაბრ. აქტივები

$$K = \frac{\text{მიმდინარე მარაგები და დანახარჯები}}{\dots}$$

4. ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი - K

რეალიზაციიდან ამონაგები

$$K = \frac{\dots}{\text{რენტაბელობის ზღვარი}}$$

დავალიანების კოეფიციენტი მეწარმეს უჩვენებს თუ რამდენად ეფექტურად ფინანსდება მისი აქტივები კრედიტორების მიერ. კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 0.5-ს. მისი გაანგარიშების დროს შეიძლება გამოითიშოს მოკლევადიანი ვალდებულებანი, მაშინ როცა აღიშნული მაჩვენებელი ტოლი იქნება გრძელვადიან ვალდებულებათა მუდმივ (ცვალებად) კაპიტალთან შეფარდების.

სინამდვილეში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები იმყოფებიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. ამიტომ, ბიზმესმენმა აუცილებელია იცოდეს საბრუნავი საშუალებით უზრუნველყოფა, რომელიც გამოიხატება შესაბამისი კოეფიციენტით, იგი შეიძლება ტოლი იყოს 0.6-0.8-ის, რაც ბიზმესმენს საშუალებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება რითმულად შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესები.

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელია გავიანგარიშოთ პროცენტის დაფარვის ხარისხი, რომლის მნიშვნელობა უნდა აღემატებოდეს 3-ს. ასეთ შემთხვევაში ბიზმესმენი დაზღვეულია გაკოტრებისაგან.

ყველა შემთხვევაში წარმოდგენილი მაჩვენებელი გამოხატავს ფინანსური მდგრადობის რომელიღაც ერთ-ერთ მხარეს. პრაქტიკაში კი, აუცილებელია აგრარული საწარმოს კომპლექსური შეფასება. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი- K

$$K = \sqrt[3]{K_{\text{დავალიანება}} \times K_{\text{მიმდ. ლიკვიდურობა}} \times K_{\text{ვალდების დაფარვის ვალდ-ბ}}}$$

ამ შემთხვევაში დავალიანების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 0,5-ს, ხოლო მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3-ზე მეტი. ამიტომაც, ჩვენს შემთხვევაში დავალიანების კოეფიციენტმა უნდა წარმოქმნას საკუთარი საშუალებებით ნასესხები საშუალებების უზრუნველყოფის

Σ აქტივები.

$$K = \frac{\text{---}}{\text{---}}$$

Σ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი

სესხის საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 0.5-ს. მაშინ ოპტიმალური ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი ტოლი იქნება 1.45-ის.

მაგალითად: შევავასოდ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- დავალიანების კოეფიციენტის, ანუ ნასესხები საშუალებების უზრუნველყოფა საკუთარი საშუალებებით;
- ვალების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი;
- საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი.

დავუშვათ, წლის ბოლოს საწარმოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულების თანხა შეადგენს 480.0 ათას ლარს; ხოლო ყველა აქტივების თანხა 650.0 ათას ლარს; წლიური საბალანსო მოგება 78.0 ათას ლარს; წლის განმავლობაში პროცენტისათვის გადახდა შეადგენს 24.0 ათას ლარს; ყველა წყაროს მიხედვით საწარმოს საკუთარი საშუალებანი შეადგენს 680.0 ათას ლარს, ხოლო გრძელვადიანი და სხვა საბრუნავი აქტივების თანხა 240.0 ათას ლარს; მიმდინარე წელს საწარმოს მიერ რეალიზებული იქნა 600.0 ათასი ლარი; ხოლო რენტაბელობის ზღვარმა შეადგინა 60.0 ათასი ლარი; მიმდინარე მარაგების და დანახარჯების საერთო თანხამ შეადგინა 610.0 ათასი ლარი.

გადაწყვეტა:

- ნასესხები საშუალებების საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი გაიანგარიშება საწარმოს მთელი აქტივების გაყოფით გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებთან. $650.0 :$

$$480.0 = 1,40;$$

- ვალების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი გაიანგარიშება წლიური საბალანსო მოგების გაყოფით წლის განმავლობაში პროცენტისათვის გადახდილ თანხასთან. $78.0 : 24.0 = 3.25;$

- საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მიიღება საკუთარ

საშუალებებს გამოკლებული გრძელვადიანი და სხვა არასაბრუნავი საშუალებები და გაყოფილი

მიმდინარე მარაგების და დანახარჯების თანხასთან. $(680.0 - 240.0) : 610.0 = 0.72$;

- ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი მიიღება საწარმოს მიერ პროდუქციის რეალიზაციიდან

მიღებულ ამონაგებს გამოკლებული რენტაბელობის ზღვარი და გაყოფილი პროდუქციის

რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან. $(600.0 - 60.0) : 600.0 = 0.90$.

ამრიგად, აგროსაწარმოს ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ფინანსური მდგომარეობის ინტეგრირებული კოეფიციენტი (მესამე ხაისხის ფესვი წარმოებული-დავალიანების, მიმდინარე ლიკვიდაციის და ვალდებულებათა დაფარვის კოეფიციენტებისაგან).

აგრობიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს (ფირმის) ფუნქციონირების ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება. იგი ითვალისწინებს ერთობლივი ეკონომიკური ეფექტის ანალიზს. სამისოდ არსებობს მრავალი მეთოდი:

ეკონომისტების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურად შეფასებისათვის უპირატესობას ანიჭებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ინტენსიურობა; მწარმოებლურობა; რესურსების ანაზღაურება; ფინანსური სასურველობა; რენტაბელობა; შემოსავლიანობა და სხვა.

უცხოელი ეკონომისტები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შეფასების დროს იყენებენ საბაზრო წონასწორობის კონცეფციის ფუნდამენტურ დებულებას, მაგრამ მისი სანიშნოდ აგრობიზნესში გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოს ფუნქციონირების საბაზრო პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მეწარმეთა (ფერმერთა) ქცევებზე:

- მეწარმეებს (ფერმერებს) არ შეუძლიათ მთლიანად გამოიყენონ ყველა უპირატესობა. სოფელში მცხოვრებთ ძნელად შეუძლიათ მონახონ ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტი;
- აგრობიზნესის შედეგებზე ბუნებრივი ფაქტორების მკვეთრი გავლენა ზღუდავს მათ მიღწევებს;
- სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა ართულებს საბაზრო წონასწორობის კონცეფციის გამოყენებას;
- სამამულო აღრიცხვის პრაქტიკის არსებობა, მიწის საბაზრო შეფასების არ არსებობა შესაძლებლობას არ იძლევა ეკონომიკურად დავასაბუთოდ აგრობიზნესის ეფექტიანობა;
- აგრარული ბიზნესის შეფასება ბიზმესმენების, მენეჯერების, კრედიტორების და სხვათა ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს დამატებით მექანიზმებს. თუ მენეჯერი საბალანსო მოგებაში



დაინტერესებულია მოგების კოეფიციენტის ზრდით, რესურსების ბრუნვადობით, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებით, ამ დროს კრედიტორები დაინტერესებულნი არიან ლიკვიდურობით და ა.შ.

- განაწილების ანალიზის თეორია არ ადასტურებს მართველობით გადაწყვეტილებაში ყველა ვარიანტების გამოყენების შესაძლებლობას.

ჩვენი შეხედულებით, ბიზმესმენები მათი შემოსავლების ზრდასთან ერთად ორიენტირებული უნდა იყვნენ, კაპიტალის მუდმივ ზრდაზე. ასეთი მიდგომა უნდა გამოვლინდეს მომგებიანობის შეფასების გზით; გაყიდვების რენტაბელობით; ინვესტიციების შემოსავლიანობით; აქტივების შემოსავლიანობით; საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობით; სტაბილურობით (სიცოცხლისუნარიანობით); შემოსავლების დონით (შრომის ანაზღაურება); გაყიდვების მოცულობით (ბაზრის უკუგება); აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტით; მათი ლიკვიდურობით.

აგრობიზნესის შეფასების მოდელი აერთიანებს მომგებიანობის შეფასებას, სტაბილურობას, ლიკვიდურობას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმულის სახით:

$$\begin{aligned}
 \text{მ.მ.} &= \frac{\text{მოგება} + \% \times (1 - \text{გადასახ.}) + \text{ამორტიზაცია}}{\text{საინვესტიციო კაპიტალი}} \times \\
 &\times \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}}{\text{რეალური ამონაგები}} \times \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებანი}} \times \\
 &\times \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}}{\text{შრომის ანაზღაურება} + \text{დამატებითი შემოსავალი}} \times \\
 &\times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \times \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{მარაგები} + \text{დანახარჯები}}
 \end{aligned}$$

აღნიშნული ფორმულა ბიზმესმენს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს ფირმის ეფექტიანობის დონე. თუმცა იგი გასაანგარიშებლად რთულია, ყოველთვის არაა ეკონომიკურად დასაბუთებული, არ არსებობს ექსპორტი. ამიტომ, აგრობიზნესის



ყოველიურ პრაქტიკაში შეიძლება გამოვიყენოთ საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის შემოკლებული ვარიანტის მოდელი:

$$E = \frac{K_{\text{გაყიდვების რენტაბ. კ-ტი}} \times K_{\text{საკუთარი კაპიტალის ზრდის კ-ტი}} \times K_{\text{გაყიდვების მოცულობის ზრდის კ-ტი}} \times K_{\text{ექსპორტის ზრდის კ-ტი}}$$

ბიზმესმენს უნდა შეეძლოს შეაფასოს თავისი საწარმოს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა პერსპექტივაში. ეს გამომდინარეობს მისი მთავარი მიზნიდან - ჰქონდეს თავისი ბიზნესის დადებითი დინამიკა.

ეკონომიკური ზრდის თეორია ითვალისწინებს ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორიცაა: ფინანსური ეფექტიანობა, საწარმოო და საფინანსო ლევერიჯი.

- ფინანსური ეფექტიანობა საშუალებას იძლევა შევაფასოთ საინ-

ვესტიციო შემოსავლიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალი. იგი წარმოადგენს სხვაობას საკუთარ შემოსავლებსა და საინვესტიციო კაპიტალს შორის, გადასახადების გადახდის შემდეგ. ეს ეფექტი გვიჩვენებს აგრეთვე, თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის შემოსავლები მოზიდული ნასესხები საშუალებების მოზიდვის და საწარმოს ბრუნვის ანგარიშზე. იგი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა საინვესტიციო კაპიტალის შემოსავლების განაკვეთი მეტია სასესხო პროცენტზე.

მაგალითად: ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობა გადასახადების გადახდის შემდეგ შეადგენს 10.0%-ს, ხოლო კრედიტის პროცენტის განაკვეთი 6.0%-ს. შეიძლება გავადიდოთ ფინანსური ბერკეტის მხარე (ნასესხები კაპიტალის წილი).

-საწარმოო ლევერიჯი განისაზღვრება ნატურალურ ერთეულებში გადასახადების და პროცენტის გადახდამდე ნამატი მოგების ტემპების შეფარდებით ნამატი გაყიდვების მოცულობის ტემპებთან. იგი გამოხატავს საწარმოს მოგებაზე პოტენციური შესაძლებლობების გავლენას, პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის და ამონაგების მოცულობის ცვლილების გზით.

ფინანსური ლევერიჯი გამოხატავს ურთიერთკავშირს მოგებასა და საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის. ფინანსური ლევერიჯის ზრდა მიიღწევა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთ. ამრიგად, საწარმოს ლევერიჯის და ფინანსური ლევერიჯის შეფასებათა მაჩვენებლების განხილვის შემდეგ შეიძლება სარეკომენდაციო მაჩვენებლად მივიჩნიოთ ინტეგრალური ლევერიჯი (I.L.):

$$N.L. = \sqrt[2]{L_{\text{საწარმოო}} \times L_{\text{ფინანსური}}}$$

იგი გამოხატავს საწარმოში ეკონომიკური ზრდის საერთო შესაძლებლობას, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას, თვითღირებულების სტრუქტურისა და ნასესხები კაპიტალის ოპტიმიზაციას.

უკანასკნელი სამი კოეფიციენტის გაანგარიშების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ:

- მოკლევადიანი კრედიტის პროცენტი შეიტანება თვითღირებულებაში და აუცილებელია მისი გაანგარიშების კორექტირება;
- სოფლის მეურნეობა განთავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან;
- ძირითადი ფონდების აქტივების ნაწილი იქმნება ძირითადად ლიზინგის დახმარებით. ლიზინგის ხარჯები შედის თვითღირებულებაში. აუცილებელია მისი გაანგარიშების კორექტირება.

Estimation of Financial Position of Enterprise Subjects in Agrobusiness

Guram Dzagnidze

Cand of .Econ.Sci., the associated professor,

Joseph Palelashvili

Cand of .Econ.Sci., the assistant professor,

Sergo Turmanidze

Cand of .Econ.Sci., the associated professor

Abstract

(Internet Version)

A steady financial position of manufactures can be displayed by uniform system of economic indicators in which the structure of balance of manufacture will be comprehensively displayed. But the considerable quantity of these indicators sometimes complicates an objective estimation of a financial position activity business. Therefore, it is expedient to prefer only a part of these indicators and in addition to consider such factors as the factors of debts, obligations on payment of debts, maintenance of own circulating assets and factor of financial stability.

For a high-grade estimation of a financial position of agriproduction, it is necessary to use integrated factor of a financial position which will give clearer image about a complex estimation of efficiency of activity of manufacture (firm).

The theory of economic growth provides calculation of such indicators as: financial efficiency, industrial and financial levering . Integrated levering is considered as a recommendatory indicator, which completely will reveal the general possibilities of economic growth of manufacture by increase in agricultural production , optimisation of structure of the cost price and the capital taken by the loan. Therefore, the integrated indicator of levering can be used as the generalized indicator of estimation of economic growth of agriproduction.



სერგო თურმანიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,

გურამ ძაგნიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,

იოსებ ფალელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ-პროფესორი

წარმოადგინა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნიკოლეიშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეფერატი:

(ინტერნეტული ვერსია)

აგრობიზნესის საწარმოებში ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად დასავლეთის ქვეყნებში იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: მოგების თანაფარდობა ინვესტიციებთან; მოგების თანაფარდობა გაყიდვებთან; მოგების თანაფარდობა აქციებთან; მოგების თანაფარდობა კაპიტალთან.

აგრობიზნესის სფეროში ფინანსური საქმიანობის ანალიზის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია: ლიკვიდურობის კოეფიციენტი, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი; ლიკვიდურობის ნორმა და სხვა. ყველა ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება საბალანსო და წმინდა მოგების საფუძველზე. უცხო ქვეყნების მეცნიერთა გამოცდილებით პრაქტიკაში მიღებულია მოგების გაანგარიშების ორი ვარიანტი: ინგლისურ-ამერიკული და ფრანგულ-გერმანული. თუმცა ორივე ვარიანტს ახასიათებს ნაკლოვანებები. ამიტომ, უმჯობესია მოხდეს მოგების განსაზღვრის აღნიშნული ვარიანტების მეთოდის უპირატესობათა შეჯერება, რომელიც უფრო ზუსტად დაახასიათებს აგრობიზნესის მოგებას და საშუალებას მისცემს ბიზნესმენს გაითვალისწინოს თუ როგორ გაზარდოს იგი.

ყოველივე ეს მიღწეული უნდა იქნეს ორი გზით: საწარმო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებით და საკუთარი აქტივების უკეთ გამოყენებით. ამრიგად, აგრობიზნესის მოგების შეფასებისათვის უფრო მისაღებია ინვესტირებული კაპიტალის და გაყიდვების მაჩვენებლების გამოყენება.

ეკონომიკური განვითარების შეფასების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მისი მოგების გაანგარიშება. ცნობილია მოგების სამი ძირითადი კოეფიციენტი:

- 1. მოგების თანაფარდობა ინვესტიციებთან;

2. მოგების თანაფარდობა გაყიდვებთან ანუ წმინდა მოგების ნორმა;

3. მოგების თანაფარდობა აქციებთან.

$$\begin{aligned} & \text{მოგების თანაფარდობა ინვესტიციებთან} \\ & = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \\ & = \frac{20775}{52961} = 0,39 \end{aligned}$$

მიღებული მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ ყოველი დაბანდებული 1 ლარიდან კომპანია ღებულობს 0,39 ლარის მოგებას.

მოგების თანაფარდობა გაყიდვებთან ანუ წმინდა მოგების ნორმა იანგარიშება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} & \text{წმინ. მოგ. ნორმა} = \\ & = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე}}{\text{გაყიდვის მოცულობა}} = \frac{20775}{93000} = 0,22 \end{aligned}$$

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ პროდუქციის გაყიდვის შედეგად ყოველ მიღებულ ლარიდან 0,22 ლარი მოდის მოგებაზე. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანია ინვესტორებისათვის, რადგან მიღებული მაჩვენებელი გვიჩვენებს კაპიტალის დაბანდების მიზანშეწონილობას მოცემულ კომპანიაში.

აქციებზე შემოსავალი არის მოგების ის დონე, რომელსაც კომპანია იღებს ყოველ გამოშვებულ აქციაზე.

$$\begin{aligned} & \text{მოგების თანაფარ. აქციებთან} = \\ & = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გამოშვებული არსებული აქციები}} = \frac{17659}{5296} = 3,3 \text{ ლ/აქციაზე} \end{aligned}$$

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს კომპანიის განვითარებისა და დივიდენდების გადახდის შესაძლებლობებს. მოცემულ შემთხვევაში აქციების თითოეული მფლობელი მიიღებს 3,3 ლარს დივიდენდის სახით.

საწარმოს ლიკვიდურობის ანალიზისათვის გამოიყენება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი. საბრუნავი კაპიტლის მოცულობის ქვეშ იგულისხმება მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები. ეს არის რესურსები (ინვესტიცია, კრედიტი) კომპანიის მიერ დაბანდებული მიმდინარე აქტივებში. კაპიტალის მოცულობა არის ლიკვიდურობის ინდიკატორი, რომელიც ასახავს აქტივების სიდიდეს, რომელიც რჩება საწარმოს ყველა მოკლევადიანი ვალდებულებების გადახდის შემდეგ.

$$\text{საბრ. კაპ. ბრუნ. კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{42462}{26338} = 1.6$$

მისაღებად ითვლება სიდიდე 2,0 და 1,5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში მოკლევადიანი ვალდებულებების ყოველი ლარის დასაფარავად საწარმოს უნდა გააჩნდეს 1,6 ლარის საბრუნავი კაპიტალი.

ლიკვიდურობის ნორმა გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობებზე გაისტუმროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ნაღდი ფულით, ფასიანი ქაღალდებით ან დებიტორული დავალიანებით.

ლიკვ. ნორმა=

$$\frac{\text{ნაღდი ფული} + \text{ფას. ქაღ. საბაზ. ღირებ.} + \text{დებეტ. დავალ.} + \text{გადახდ.}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{11395 + 2100 + 9675 + 10750}{26338} = 1.28$$

ეს მაჩვენებელი არ არის 1,0-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი იანგარიშება გაყიდული საქონლის ღირებულების შეფარდებით სასაქონლო-მატერიალური მარაგების საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

სასაქ. მარაგ. ბრუნ. კოეფ.=

$$\frac{\text{გაყიდული საქონლის ღირებულება}}{\text{სასაქ.მარაგ.საშ.წლ.ღირებულება}} = \frac{99000}{(5236 + 7448) : 2} = 15.6$$

მოცემულ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ საწარმოს სასაქონლო მარაგების საშუალო წლიური ბრუნვადობა შეადგენს 15,6, ანუ ბრუნვა მცირდება ყოველ 23 დღეში ერთხელ (365დღე : 15,6).

საწარმოს გრძელვადიანი ვალდებულების დაფარვის უზრუნველსაყოფად ანგარიშობენ დავალიანების კოეფიციენტს ანუ დაფარვის კოეფიციენტს. (თანაფარდობა საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ კაპიტალს შორის, რაც გვიჩვენებს საწარმოს დაფინანსებაში რა ხვედრითი წილი უჭირავს საკუთარ კაპიტალს).

$$\text{დაფარვის კოეფ.} = \frac{\text{ყველა ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{53213}{52961} = 1.0$$

იგულისხმება, რომ კრედიტორმა საწარმოს მისცა სესხი ერთ-
ლარის ოდენობით საკუთარი კაპიტალის ყოველ ლარზე. თუ ეს
მაჩვენებელი 1-ზე მეტია, მაშინ საწარმოს ვალები იზრდება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება მოგების მრავალი
მაჩვენებელი, რომელთაგან გამოიყოფენ სამ ჯგუფს:

1. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს საწარმოო დანახარჯების და
საინვესტიციო პროექტების უკუგებას;
2. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს რეალიზაციის შედეგების
უკუგებას;
3. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს კაპიტალის და მისი ნაწილების
შემოსავლიანობას.

ყველა ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება საბალანსო მოგების და
წმინდა მოგების საფუძველზე. ამდენად, აგრობიზნესის საწარმოს
საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს შორის პრაქტიკაში ყველაზე
მეტად გამოიყენება მოგება, რომელიც გვიჩვენებს ხარჯების
ანაზღაურებას.

პრაქტიკაში მიღებულია მოგების გაანგარიშების ორი ვარიანტი:

**პირველი- ინგლისურ-ამერიკული (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია,
კანადა და ა.შ.),** რომელიც ემყარება პროდუქციის რეალიზაციიდან
ამონაგებს (გაყიდვები, ფირმის სალაროში შემოსული თანხები)
დამატებული ყველა სხვა გაყიდვები (მათ შორის გაყიდვები
კრედიტებით).

ხარჯები კლასიფიცირდება ფუნქციების მიხედვით: დანახარჯები
პროდუქციის წარმოებაზე-თვითღირებულება (საწარმოო ფუნქცია);
დანახარჯები მარკეტინგზე (განაწილების ფუნქცია);
ადმინისტრაციული ხარჯები (მენეჯმენტის ფუნქცია); ფისკალური
ხარჯები (ფინანსური ხარჯები) და სხვა.

- ასეთი დამოკიდებულება საშუალებას იძლევა გამოვყოთ მოგების
შემდეგი სახეები:

- მთლიანი მოგება (გაყიდვების მოცულობას გამოკლებული
წარმოების ხარჯები);
- ოპერატიული მოგება- მოგება დაბეგვრამდე (მთლიან მოგებას
გამოკლებული მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვა ხარჯები);
- წმინდა მოგება (ოპერატიულ მოგებას გამოკლებული
გადასახადები).

**მეორე - ფრანგულ-გერმანული, დამყარებულია წარმოების
კონცეფციაზე.** ამ შემთხვევაში რეალიზებული პროდუქციის
მაჩვენებელი უდრის წლის განმავლობაში მიღებულ საერთო თანხას



(გაყიდვებიდან შემოსული თანხა, საწყობში შენახვის, სასაქონლო დამუშავების და შეფუთვის ხარჯები). ხარჯები კლასიფიცირდება წარმოქმნების მიხედვით: ნედლეული და მასალები, პერსონალის ხელფასი, ამორტიზაციის ანარიცხები და სხვა. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვყოთ მოგების შემდეგი სახეები: მთლიანი დამატებითი ღირებულება (პროდუქციის მთლიან ღირებულებას გამოკლებული მოხმარებული ნედლეული და მასალები); მთლიანი საექსპლოატაციო მოგება (მთლიან დამატებით ღირებულებას გამოკლებული პერსონალის ხელფასის ხარჯები); საექსპლოატაციო მოგება (მთლიან საექსპლოატაციო მოგებას გამოკლებლი საამორტიზაციო და სხვა ხარჯები); მიმდინარე მოგება (საექსპლოატაციო მოგებას გამოკლებული ფინანსური ხარჯები); წმინდა მოგება (მიმდინარე მოგებას გამოკლებული ფინანსური ხარჯები).

ინგლისურ-ამერიკული ვარიანტი საშუალებას იძლევა განვსა-

ზღროთ მენეჯმენტის ფუნქციის ზვედრითი წილი, მაგრამ იგი ართულებს დამატებითი ღირებულების შემადგენლობის ანალიზს. ფრანგულ-გერმანული მეთოდი კი, პირიქით იძლევა დამატებითი ღირებულების შემადგენელი ნაწილების ანალიზის საშუალებას, მაგრამ ართულებს მენეჯმენტის და სხვათა მნიშვნელობის შეფასებას. პირველი მეთოდი ბიზმესმენისათვის უფრო მისაწვდომია, მეორე მეთოდი კი მათთვის შედარებით რთულია. სახელდობრ- იგი ითვალისწინებს პროდუქციის გამოყოფას სახეების მიხედვით: რეალიზაცია, დასაწყობება-შენახვა და სხვა.

აღნიშნული თავისებურების გათვალისწინება მეტად საჭიროა აგრობიზნესისათვის (მის მიერ წარმოებული საკუთარი პროდუქციის ნაწილი-თესლი, საკვები, კვერცხი და სხვა გამოიყენება შემდგომი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის; წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეიძლება რეალიზებული იქნეს არა მიღების დროს, არამედ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც იგი საწყობში ინახება და ა.შ.). ფრანგულ-გერმანული მეთოდი სოფლის მეურნეობისათვის უფრო მისაღებია. თუმცა არც იგი იძლევა საშუალებას დავადგინოთ სხვაობა საწარმოო ხარჯებსა და კომერციულ ხარჯებს შორის. ამიტომ, უმჯობესია, მოხდეს მოგების განსაზღვრის აღნიშნული ვარიანტების მეთოდიკის უპირატესობათა შეჯერება.

ჩვენი მეთოდიკით ამორტიზაცია განიხილება როგორც ხარჯები.

მეწარმეთა პოზიციიდან გამომდინარე კი საამორტიზაციო სახსრები რჩება მათ განკარგულებაში და წარმოადგენს მათი შემოსავლებით შექმნილი დამატებითი შემოსავლის ელემენტს. ისინი შეიძლება

გამოყენებული იქნეს წლის განმავლობაში მოხმარებული ძირითადი აქტივების აღსადგენად. აქედან შეიძლება ითქვას, რომ მთლიან მოგებას დამატებული ამორტიზაცია უნდა განვიხილოთ წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ საზომად. აქედან გამომდინარე, აგრობიზნესის ეფექტიანობის შესაფასებლად მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშება: დამატებითი ღირებულება (პროდუქციის მთლიან ღირებულებას გამოკლებული მოხმარებული ნედლეული და მომსახურება); მთლიანი მოგება (დამატებით ღირებულებას გამოკლებული პერსონალის ხელფასის ხარჯები); საექსპლოატაციო მოგება (მთლიან მოგებას გამოკლებული ამორტიზაციის ხარჯები); მიმდინარე მოგება (საექსპლოატაციო მოგებას გამოკლებული ფინანსური ხარჯები); საბალანსო (ბუღალტრული) მოგება (პროდუქციის რეალიზაციიდან, სამუშაოებიდან, მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული მათი თვითღირებულება არარეალიზებულ ოპერაციათა ფინანსური შედეგების ჩათვლით). წმინდა მოგება (საბალანსო მოგებას გამოკლებული დაფარული გადასახადები).

მაჩვენებლების ასეთი დიდი რაოდენობა ბიზმესმენებს ურთულებს მოგების გაანგარიშებას ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად. ამის შესაშსუბუქებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი აუცილებელი მაჩვენებელი- დამატებითი ღირებულება და წმინდა მოგება. პირველი მაჩვენებელი მიუთითებს ბიზმესმენის მთლიან შემოსავლებზე, ხოლო მეორე საშუალებას იძლევა შევაფასოთ მისი „თავისუფალი“ ნაწილი. ამდენად, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ აგრობიზნესის მომგებიანობის შეფასების საბაზისო მონაცემებად.

აგრობიზნესში მოგების ზუსტი გაანგარიშებისათვის უნდა ვისარგებლოთ გაანგარიშების რამდენიმე მაჩვენებლით. მათი ურთიერთ-კავშირი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

$$\text{წმინა მოგება} = \text{წმინა მოგება} \times \text{გაყიდვების მოცულობა}$$

საინვესტიციო კაპიტალი გაყიდვების მოცულობა. საინვესტიციო კაპიტალი

Estimation of Indicators of Profitability in Agrobusiness Manufactures



Sergo Turmanidze

Candidate of Economical Science,
the associated professor,

Guram Dzagnidze

Candidate of Economical Science,
the associated professor,

Joseph Palelashvili

Candidate of Economical Science,
the assistant professor

Abstract

(Internet Version)

For the estimation of financial and economic position of agroproductions in the western countries are used the following indicators: a profit parity to investments; a profit parity to sales; a profit parity to shares; a profit parity to the capital. In the course of the analysis of financial activity in the sphere of agrobusiness, a great value has also the current ratio, factor of a turn-over of a working capital, a norm of liquidity, and so on. All these indicators are calculated on the base of balance and net profit.

By the experience of scientists of foreign countries, it is accepted two ways of calculation of profit - an Anglo-American and a French-German variants.

The Anglo-American variant is based on the incomes from the sales plus all other sales, and French-German is based on the manufacture concept. However, a number of lacks are characteristic for both variants. Therefore it is better to summarise advantages of techniques of noted variants at which it is possible more exact characteristic profitability agrobusiness manufactures and will give the chance to the businessman to see how it is possible to increase additional cost and net profit.

All can be reached it two ways: increase of efficiency of industrial activity and the better use of the own actives. Hence, for the estimation of profitability of agrobusiness it is more expedient to use indicators of profitability of the investment capital and profitability from sales.

მანანა მჭედლიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ავთანდილ ლაფაჩი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნი-
ერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალის მოთხოვნებს და მიზა-
ნშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

ბიუჯეტის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის
სტრუქტურას, რამაც უნდა უზრუნველყოს ხარჯებისა და შემოსავლების
რაციონალური თანაფარდობა.

ბიუჯეტის შედგენის დროს უპირატესობა, შემოსავლებთან
შედარებით, უნდა მიეცეს ხარჯებს. მეტად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის
ხარჯების და რესურსების ისეთი დონით განსაზღვრა, რომელიც
უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
პრიორიტეტია საქართველოს მთავრობისათვის. ეკონომიკური რეფორმისა
და მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს
წარმოადგენს ცვლილებები ფისკალურ სფეროში, ამასთან, საქართველოს
მთავრობა გეგმავს, უახლოესი 5 წლის განმავლობაში განახორციელოს
სტრატეგიული ცვლილებები ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და
ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რამაც უნდა
უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხარჯების ზრდა
პრიორიტეტულ მიმართულებებზე და საფინანსო წესრიგის გაძლიერება.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის
მიღწევის საშუალებაა. ბიუჯეტი ასრულებს არა მარტო ეროვნული
შემოსავლის გადანაწილების ფუნქციას, არამედ, ფინანსური რეს-
ურსების გამოყენების, ეროვნული შემოსავლის რეგულირებული
განაწილებისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის ფუნქციებს.

ბიუჯეტის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა
ენიჭება მის სტრუქტურას, რამაც უნდა უზრუნველყოს ხარჯებისა და
შემოსავლების რაციონალური თანაფარდობა.

საქართველოს ბიუჯეტის სტრუქტურა, მიუხედავად გარკვეული
სრულყოფისა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს.



ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ფორმირება ხდება ერთდროულად კლასიფიკაციით, პრინციპის გათვალისწინებით: უწყებრივი კლასიფიკაციით, მიზნობრივი კლასიფიკაციითა და საგნობრივი კლასიფიკაციით; კლასიფიკაციის უწყებრივი ნაწილი ფარავს სახელმწიფო ხარჯების ფაქტობრივ განაწილებას, არასწორად ხდება ხარჯების კლასიფიკაცია და ამასთან იგი არც სრულყოფილად გამოიყენება. ხარჯების განაწილება ცალკეული მუხლის მიხედვით არ შეესაბამება მათ ნამდვილ ბუნებას. ხარჯები ძირითადად მიმართულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესრულებაზე, მაშინ როდესაც, გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური სფეროც. უკანასკნელ წლებში გაუმართლებელი ხარჯების გაწევამ, რომელიც ძირითადად მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფას ხმარდებოდა, მკვეთრად შეამცირა ბიუჯეტური სახსრების როლი სახალხო მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარებაში. ბიუჯეტურმა ასიგნებებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება. სახელმწიფო ხარჯების განაწილების რეალურ სურათს ვერ იძლევა ხარჯების კლასიფიკაცია, ერთი და იმავე სახის ხარჯები მიმართულია სხვადასხვა მიზნისკენ. მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება კონკრეტული პროგრამის დამუშავების საფუძველზე უნდა მოხდეს და არა ბიუჯეტის დაბალანსების ხელოვნური ხერხებით. აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია იმის მცდელობა, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივალწიოთ თანასწორობას ბიუჯეტის შემოსავალსა და გასავალს შორის. ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება უზრუნველყოფს. ამისათვის აუცილებელია ხელისუფლების მართვის ყველა რგოლის შენახვის ხარჯების შემცირება, არ უნდა დავუშვათ ზენორმატიული კრედიტების მოცულობის ზრდა და ხარჯების მოცულობის განსაზღვრა უშუალოდ უნდა იქნას დაკავშირებული შემოსავლებთან.

ბიუჯეტის შედგენის დროს უპირატესობა, შემოსავლებთან შედარებით, უნდა მიეცეს ხარჯებს. მეტად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯების და რესურსების ისეთი დონით განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლები, რომელიც სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა. საგადასახადო პოლიტიკის შეფასებისათვის, განსაკუთრებით მისი მარეგულირებელი ფუნქციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადების სტრუქტურის სრულყოფას, ვინაიდან კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების აქტივობაზე, უშუალოდ, სწორედ



კონკრეტული გადასახადი მოქმედებს. ეს იმით აიხსნება, რომ გარკვეულ შემთხვევაში და ზოგიერთი გადასახადი, ნეიტრალურია წარმოების მიმართ, ზოგიერთი კი მყისვე მოქმედებს — ზრდის ან ამსუბუქებს საგადასახადო წნეხს, ცვლის მეწარმის მოტივაციასა და ქცევას.

გადასახადების სწორი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას. დღეს მსოფლიოში არსებობს საკმაოდ განსხვავებული მიდგომები გადასახადების მნიშვნელობისა და როლის შესახებ. მაგალითად: ყველაზე ლიბერალური დამატებული ღირებულების სისტემა გააჩნია ინდონეზიასა და კანადას, სადაც მისი განაკვეთი შესაბამისად 10 და 7 პროცენტს უტოლდება. ხოლო მოგების გადასახადი კი ყველაზე დაბალია ბულგარეთში — 10 პროცენტი, ამავე დროს კანადა და ბელგია გამოირჩევიან მოგების გადასახადის ყველაზე მაღალი განაკვეთით — შესაბამისად 40 და 36,1 პროცენტი. ხოლო დღე-ყველაზე მაღალია დანიაში-25%. საქართველოში, დღეისათვის მოქმედებს 6 სახის გადასახადი, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არსად მსოფლიოში ჯერ არ შექმნილა გადასახადების სრულყოფილი, ჭეშმარიტად რაიმე ობიექტური, სრულიად ეფექტური მართული სისტემა, რომელსაც ნაკლი არ ჰქონდეს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია საქართველოს მთავრობისათვის. ეკონომიკური რეფორმისა და მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ცვლილებები ფისკალურ სფეროში, ამასთან, საქართველოს მთავრობა გეგმავს, უახლოესი 5 წლის განმავლობაში განახორციელოს სტრატეგიული ცვლილებები ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რამაც უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ხარჯების ზრდა პრიორიტეტულ მიმართულებებზე, საფინანსო წესრიგის გაძლიერება; ამ მიზნით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: შემცირდება ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-ში 29 %-დან 22 %-მდე; ბიუჯეტი გახდება პროფიციტული და იგი მშპ-ის მინიმუმ 0,5%-ის ტოლი იქნება;

Manana mchedlishvili

Candidate of Economical Science,

Avtandil Lapachi

Candidate of Economical Science.

Abstract

(Internet Version)

In the process of budget formation great importance has its structure, which should provide rational balance between expenses and income.

While forming budget greater priority should be given to expenses than to income. Great attention should be given to definition of budget expenses and resources level which will be able to carry out all tasks of society.

Economical development is one of the most important priorities for country's government. changes in fiscal sphere are the most important part for reforms in economy and wholly for economical politics. Besides, Georgia's government plans strategically changes in nearest 5 years for perfection of fiscal politics and for improvement of financial situation in Georgia. All these will provide macro-economical stability, growth of expenses on prior directions and strengthening of financial discipline.



**სახსნავი მიწების გამოყენების გაუმჯობესების
რეკომენდაციები**

სულიკო ყამარაული
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ლევან ყამარაული

წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

ამ ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობები და სოციალური მდგომარეობა უმნიშვნელოდ უმჯობესდება, რასაც ვერ ვიტყვით სოფლად მცხოვრებლებზე. თუ ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში საბუშაოს შოვნის შედარებით უკეთესი პირობებია, სოფლად საამისო შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. აქ დასაქმების ერთ-ერთი და ძირითადი სფერო მიწის დამუშავებაა, თუმცა ამ მხრივაც დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და სულ 798,7 ათასი ჰა სახნავი ფართობი გააჩნია, აქედან 436,3 ათასი ჰა, ანუ 54,6% კერძო საკუთრებაშია. 264,9 ათასი ჰა მრავალწლიანი ნარგავებითაა დაკავებული, საიდანაც 181,4 ათასი ჰა, ანუ 68,5 % პრივატიზებულია. კერძო სექტორში არსებული სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები მილიონ მესაკუთრეზეა განაწილებული. ირკვევა, რომ ერთ მესაკუთრეზე მოდის 0,436 ჰა სახნავი, 0,2 ჰა ვენახი, 0,1 ჰა ხეხილის ბაღი, 0,2 ჰა ჩაის პლანტაცია, 0,1 ჰა ციტრუსები და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან დგინდება, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტექნიკა საკმაოდ მოძველებულია, ხშირად გამოდის მწყობრიდან და საჭიროებს შეკეთებას, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მათი მწარმოებლურობა დაბალია, ხოლო რაოდენობა კი არასაკმარისი, ამის გამო დროულად ვერ ხერხდება ხვნა, თესვა, დაბალ დონეზე სრულდება სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ეს ყველაფერი კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე.

სახნავი მიწების, სასუქების, ტექნიკისა და მუშახელის ეფექტურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიწყოს დაქუცმაცებული მიწების გამსხვილება, კოოპერატივების შექმნის გზით;

კოოპერატივები უნდა შეიქმნას სოფლებში არსებული მასივების მიხედვით, ე.ი. დასახლებულ პუნქტებში ჩამოყალიბდება ერთი ან რამდენიმე კოოპერატივი;

ამ ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობები და სოციალური მდგომარეობა უმნიშვნელოდ უმჯობესდება, რასაც ვერ ვიტყვით სოფლად მცხოვრებლებზე. თუ ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში სამუშაოს შოვნის შედარებით უკეთესი პირობებია (ვაჭრობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და სხვა სფეროში), სოფლად საამისო შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. აქ დასაქმების ერთ-ერთი და ძირითადი სფერო მიწის დამუშავებაა, თუმცა ამ მხრივაც დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან.

ცნობილია, რომ ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ პირობებს შორის მიწას, ნიადაგობრივი საფარით, წიაღისეულით, ტყეებითა და წყლებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთი მცირემიწიან ქვეყანაზე როგორც საქართველოა. ადამიანის საწარმოო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მიწა არაერთგვაროვან როლს ასრულებს. სოფლის მეურნეობაში იგი წარმოგვიდგება არა მარტო როგორც სივრცული ბაზა, არამედ როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, რაც ამ დარგის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და სულ 798,7 ათასი ჰა სახნავი ფართობი გააჩნია, აქედან 436,3 ათასი ჰა, ანუ 54,6% კერძო საკუთრებაშია. 264,9 ათასი ჰა მრავალწლიანი ნარგავებითაა დაკავებული, საიდანაც 181,4 ათასი ჰა, ანუ 68,5 % პრივატიზებულია. კერძო სექტორში არსებული სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები მილიონ მესაკუთრეზეა განაწილებული. ირკვევა, რომ ერთ მესაკუთრეზე მოდის 0,436 ჰა სახნავი, 0,2 ჰა ვენახი, 0,1 ჰა ხეხილის ბაღი, 0,2 ჰა ჩაის პლანტაცია, 0,1 ჰა ციტრუსები და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

მთავორიანობის გამო სოფლებში სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები ცალ-ცალკე ნაკვეთებადაა განლაგებული. ამ მიზეზით მილიონ მოსახლეზე განაწილებული 436,3 ათასი ჰა სახნავი მიწა 3-4 მილიონ ნაკვეთად არის დანაწევრებული და თითო ნაკვეთი 0,1-0,2 ჰა-ს არ აღემატება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი მცირე რაოდენობის მიწის ფართობებზე შეუძლებელია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ხვნა, თესვა, რწყვა, სასუქების შეტანა, მოსავლის აღება და ა.შ. საერთოდ ამ ფართობებზე უმეტესი შრომატევადი სამუშაოები ხელით სრულდება, რის გამოც შრომის ნაყოფიერება ძალზე დაბალია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 53,4% შეადგენს. ე.ი. საქართველოში

ყოველი მეორე მუშაკი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (დანიასა და პოლანდიაში ეს მაჩვენებელი 7-10% არ აღემატება).

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს ზემო აღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოში პრიატიზებული სახნავი მიწებიდან, 2006 წელს დაუმუშავებელი იყო 28,6%, 2007 წელს - 35,9%, იმერეთის რეგიონში დაუმუშავებელმა მიწებმა აღნიშნული წლების მიხედვით შეადგინა 21,2 და 25,4%, კახეთის რეგიონში - 38,7% და 46,3%, შიდა ქართლის რეგიონში - 47,4 და 51,1%, სამცხე ჯავახეთის რეგიონში - 15,4% და 29,7%, აჭარის არ-ში - 2006წელს დაუმუშავებელი მიწები საერთოდ არ ყოფილა, ხოლო 2007 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 12,5% შეადგინა. როგორც მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს იმ რეგიონებში სადაც შედარებით ბევრია სახნავი მიწების დიდი ფართობები, დაუმუშავებელი

ცხრილი 1

სახნავი მიწების გამოყენების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

| რეგიონები | სახნავი მიწები სულ (ათასი ჰა) | | მათ შორის | | | |
|---------------------------------|----------------------------------|------|---------------|------|--------------|------|
| | | | დაუმუშავებელი | | დამუშავებელი | |
| | 2006 | 2007 | 2006 | 2007 | 2006 | 2007 |
| საქართველო | 462 | 463 | 132 | 166 | 330 | 297 |
| მათ შორის: აჭარის არ | 7 | 8 | 0 | 1 | 7 | 7 |
| იმერეთი | 66 | 67 | 14 | 17 | 52 | 50 |
| სამეგრელო და ზემო სვანეთი | 43 | 44 | 4 | 4 | 39 | 40 |
| შიდა ქართლი | 48 | 47 | 23 | 24 | 25 | 23 |
| კახეთი | 155 | 160 | 60 | 74 | 95 | 86 |
| ქვემო ქართლი | 65 | 66 | 9 | 20 | 56 | 46 |
| სამცხე ჯავახეთი | 39 | 37 | 6 | 11 | 33 | 26 |
| დანარჩენი რეგიონები | 39 | 34 | 16 | 15 | 23 | 19 |



მიწების წილიც მაღალია და პირიქით იმ რეგიონებში სადაც მიწის დიდი დეფიციტია, იქ დაუშუშავებელი მიწებიც ნაკლები რჩება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო სექტორში არსებული სახნავი მიწისა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების არცთუ მცირე ნაწილი არ მუშავდება, მისი გამოყენების დაბალეფექტურობის გამო. მიწის მცირე ფართობის მოვლა-დამუშავება ძირითადად ხელით სრულდება, რაც ძალიან ძვირი ჯდება და ვერ ანაზღაურებს დანახარჯებს. ამიტომ, მეპატრონე ცდილობს მიწის ნაკვეთების ის ნაწილი დაამუშაოს, რომელიც ხელსაყრელ ადგილზეა განლაგებული და იქ წარმოებული პროდუქცია ოჯახის მოთხოვნი-ლებისათვის გამოიყენოს. მხედველობაში მიიღება ისიც, რომ წარმოებული პროდუქციის გასაღება ძნელია და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასუქებსა და ქიმიზაციის სხვა საშუალებებს. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ავამაღლოთ წარმოების დონე.

სამწუხაროდ, საქართველოში სასუქების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმის ნახევარიც არ გამოიყენება, პესტიციდებით სანახევროდაც არ მუშავდება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები. მაგალითად, თუ 2006 წელს საქართველოში 95,9 ათასი ტონა ყველა სახის მინერალური სასუქი იქნა გამოყენებული, 2007 წელს მხოლოდ 51,1 ათასი ტონა ანუ 46,7%-ით ნაკლები გამოიყენეს.

მემცენარეობის განვითარება დიდად არის დამოკიდებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფაზე.

ცხრილი 2

საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის მაჩვენებლები (ათასი ერთეული)

| | სულ | | მათ შორის | | | | | |
|------------------------------------|------|------|-----------|------|-----------------|------|-----------------|------|
| | 2006 | 2007 | 5. წლამდე | | 5-დან 10-წლამდე | | 10 წელზე უხნესი | |
| | | | 2006 | 2007 | 2006 | 2007 | 2006 | 2007 |
| ტრაქტორი სულ | 30,0 | 40,0 | 0,9 | 1,3 | 11,8 | 18,2 | 17,4 | 20,5 |
| მათ შორის: | | | | | | | | |
| მინიტრაქტ. | 8,0 | 11,2 | 0,4 | 0,8 | 4,2 | 6,3 | 3,4 | 4,1 |
| ხელის ერთ- ლერძიანი ტრაქტორი | 10,1 | 12,6 | 0,1 | 0,4 | 3,9 | 5,8 | 6,2 | 6,4 |
| კომბაინი | 0,2 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,2 | 0,2 |
| სატვირთო ავტომანქანა | 8,1 | 7,3 | 0,4 | 0,0 | 1,5 | 1,5 | 6,3 | 5,8 |

ფერმერულ მეურნეობათა მანქანა-ტრაქტორთა გამოყენებაზე გავლენას ახდენს ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა ფაქტორები. ამასთან, ტექნიკის რაციონალურად გამოყენებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიეფს, კლიმატს და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თავისებურებებს. როგორც ცნობილია საქართველოში დაბლობებს უკავია მთელი ტერიტორიის 13%, მთისპირა ფერდობებს - 33%, ხოლო მთებს - 51%. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სახნავი მიწების 50% მდებარეობს ზღვის დონიდან 500 მეტრზე, ხოლო 1000 მეტრზე ზევით მხოლოდ 32%. დასაბუთებულია, რომ შიგაწვის ძრავების სიმძლავრე ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად ყოველი 100 მ-ზე კლებულობს 0,8%-ით, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მწარმოებლობა ეცემა და იზრდება საწვავის ხარჯი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრ რაიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისათვის დამახასიათებელია მცირეკულტურიანობა და კონფიგურაციის სირთულე, ტერიტორია კი დანაწევრებულია ხევებით, მდინარეებით, ტაფობებით და ა.შ. მაშინ, აშკარაა რომ ყველა ეს ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს სატრაქტორო აგრეგატების მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხზე, ანუ ასეთ პირობებში ტექნიკის მწარმოებლობა ეცემა 50% - ით, საწვავის ხარჯი კი იზრდება 27%-ით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფერმერმა მანქანებისა და ტრაქტორების შეძენისა და გამოყენებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რეგიონის ტერიტორიის თავისებურებები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან დგინდება, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტექნიკა საკმაოდ მოძველებულია, ხშირად გამოდის მწყობრიდან და საჭიროებს შეკეთებას, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მათი მწარმოებლურობა დაბალია, ხოლო რაოდენობა კი არასაკმარისი, ამის გამო დროულად ვერ ხერხდება ხვნა, თესვა, დაბალ დონეზე სრულდება სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ეს ყველაფერი კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე.

დაქუცმაცებული მიწების გამსხვილების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების მიზნით შეიძლება ჩამოყვანილობით შემდეგი წინადადებები და რეკომენდაციები:

1. სახნავი მიწების, სასუქების, ტექნიკისა და მუშახელის ეფექტურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიწყოს დაქუცმაცებული მიწების გამსხვილება, კოოპერატივების შექმნის გზით;
2. კოოპერატივები უნდა შეიქმნას სოფლებში არსებული მასივების მიხედვით, ე.ი. დასახლებულ პუნქტებში ჩამოყალიბდება ერთი ან რამდენიმე კოოპერატივი;

3. კოოპერატივების დაფუძნება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;
4. კოოპერატივების შექმნის პროცესს ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, შემდეგი ღონისძიებების გატარებით:
 - დაფუძნებულ კოოპერატივს უნდა მიეცეს დაბალპროცენტიანი შეღავათიანი კრედიტები;
 - საქმის დაწყების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ კოოპერატივებს გრანტის სახით უნდა გამოუყოს განსაზღვრული თანხა (2000-3000 ლარის ოდენობით);
 - სახელმწიფოს მიერ შემოტანილი ტექნიკა (ტრაქტორები, მანქანები და სხვა), პირველ რიგში უნდა გადაეცეს კოოპერატივებს მათთვის ხელსაყრელ პირობებში;
 - კოოპერატივებისათვის მიწოდებული სარწყავი წყლის ხარჯებიდან, დროებით 2-3 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ უნდა დაფაროს ელექტროენერგიის ღირებულება.

Recommendations for effective use of plough land

Kamarauli S.
Doctor of economic sciences, professor
Kamarauli L.

Abstract (Internet Version)

Life and social conditions of city population of Georgia has insignificantly improved for the last years, but not in villages. The possibility to find work in cities is more (trade, building, transport, communication, service and etc.) than in villages. The main activity of people in village is working on land, producing and selling agricultural products. Plough land area of Georgia is only 798,7thousand hectares. 436,3 thousand hectare from it , which is 54,6% is privatized. 264,9thousand is covered with perennial plants and 181,4 thousand (68,5%) is also privatized. Existing plough land areas and perennial plants are given to the million proprietors. Statistic data shows that one proprietor owns 0,436 ha plough, 0,2 ha vineyard, 0,1 ha fruit garden, 0,2 ha tea plantation, 0,1 ha citrus and other subtropical plants.

Results of our research show that agricultural material technical base does not meet modern requirements. Technique is quite old, often breaks down and needs repairing. It is connected with large expenses. Their productivity is very low, the quantity is not enough and this is the main reason for late land working, plough, crops. The quality of land working is very unsatisfying and And all of these factors are reflected on harvest.

Considering above mentioned reality we can suggest following recommendations:

- 1) In order to use plough land, techniques and human resources effectively we should enlarge existing small lands by making cooperatives.
- 2) Cooperatives should be formed according to existing massive in villages. In other words one populated area should have only one or two cooperatives.
- 3) Cooperatives should be formed on legal base.

Feasibility of application of coarse mulberry leaf gathered in late autumn as fodder for cattle breeding, development of appropriate technologies and economic efficacy



ლაშა ჩიბურდანიძე

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ომარ ქეშელაშვილმა.

დასკვნა: სტატია აქტუალურია, შესრულებულია მაღალ მეცნი-
ერულ დონეზე, აკმაყოფილებს ჟურნალის მოთხოვნებს და
მიზანშეწონილია მისი გამოქვეყნება.

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების ძირითადი
მოტივაცია მოგების მიღებაა. ამ მიზნით ფერმერმა ყურადღება უნდა
გაამახვილოს ზღვრული ამონაგების ზღვრულ დანახა-რჯებთან
შეწონასწორებაზე.

მაქსიმალური მოგების მიღების მასის გასაანგარიშებლად და
მისი მატების ტემპის გასათვლელად ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და, ცვლადი და მუდმივი
დანახარჯები.

ოპერაციული ბერკეტის ეფექტიანობის განსაზღვრის მთავარ
პრინციპებად მივიჩნით წარმოებული პროდუქციის 100%-იანი
საქონლიანობის დონე; რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 100%-
იანი აღიარება; დახარჯული მასალების და შესრულებული
სამუშაოების შეფასება მიმდინარე საბაზრო ფასებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ფერმერს
გააჩნდეს ფინანსური მდგრაობის მარაგი. ფინანსური მდგრაობის
მარაგი ფერმერისათვის ესაა რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და
რენტაბელობის ზღვარს შორის სხვაობა. თუ ფერმერი
რეალიზაციიდან მიიღებს რენტაბელობის ზღვარზე ნაკლებ თანხას,
მაშინ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება, შეიქმნება
ლიკვიდური საშუალებების დეფიციტი.

ს

აბაზრო ურთიერთობებმა ძირეულად შეცვალა სოფლის
მეურნეობის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური
საქმიანობის პირობები. დღეისათვის, ფერმერი-მეწარმე წარმოების
ტექნოლოგიურ საფუძვლებთან ერთად უნდა ფლობდეს მენეჯერული
აზროვნების უნარს. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია საფინანსო



სფერო და ფერმერებს ყველაზე მეტი რისკის გაწვევა ამ კუთხით უწევთ.

ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების ძირითადი მოტივაცია მოგების მიღებაა. ამ მიზნით ფერმერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ზღვრული ამონაგების ზღვრულ დანახარჯებთან შეწონასწორებაზე.

მაქსიმალური მოგების მიღების ამოცანის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ფერმერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ზღვრული ამონაგების ზღვრულ დანახარჯებთან დაპირისპირებაზე.

მაქსიმალური მოგების მიღების მასის გასაანგარიშებლად და მისი მატების ტემპის გასათვლელად ერთმანეთთან უნდა შევჯერდეს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და, ცვლადი და მუდმივი დანახარჯები.

ფერმერული მეურნეობის საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული დაგეგმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერაციულ ანალიზს. მისი ამოსავალი საფუძველია „დანახარჯები-მოცულობა-მოგება“, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ფინანსური შედეგების დამოკიდებულება წარმოების დანახარჯებთან და წარმოებარეალიზაციის მოცულობასთან.

ოპერაციული ანალიზის ძირითადი ელემენტებია: ოპერაციული (საწარმოო, სამეურნეო) ბერკეტი, მომგებიანობის ზღვარი და ფინანსური მდგრადობის მარაგი.

ოპერაციული ანუ სამეურნეო ბერკეტის მოქმედების არსი გამოიხატება იმაში, რომ რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნებისმიერი ცვლილება მოგების სიდიდის უფრო ძლიერ ცვლილებას განაპირობებს.

ოპერაციული ბერკეტის ეფექტის გარკვევის მიზნით განსხვავებული სპეციალიზაციის ფერმერული მეურნეობების მიხედვით ჩატარებული ანალიზის მასალა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ოპერაციული ბერკეტის ეფექტის მაჩვენებლები ფერმერულ მეურნეობებში: (ლარობით)

| № | მაჩვენებლები | წარმოების დანახარჯები (ლარობით) | | | ფულადი უმოსავალი რეალიზაციიდან | მოგება |
|----|---|---------------------------------|---------------------|---------------------|--------------------------------|--------|
| | | ცვლადი დანახარჯები | მუდმივი დანახარჯები | მოლიანი დანახარჯები | | |
| 1. | მარცვლეულის მიმართულების ფერმერული მეურნეობა | | | | | |
| | 2005 წ. | 7,20 | 1,85 | 9,05 | 12,6 | 3,55 |
| | 2007 წ. | 9,42 | 1,85 | 11,25 | 16,5 | 5,25 |
| | 2007 წ.2005 წელთან +- | + 2,2 | - | +2,20 | +3,9 | + 1,70 |
| 2. | მევენახეობის მიმართულება ფერმერული მეურნეობა | | | | | |
| | 2005 წ. | 15,36 | 3,52 | 18,88 | 28,70 | 9,82 |
| | 2007 წ. | 19,01 | 3,52 | 22,53 | 38,09 | 15,56 |
| | 2007 წ.2005 წელთან +- | + 3,65 | - | 3,65 | + 9,39 | +5,74 |
| 3. | მეკარტოფილეობის მიმართულება ფერმერული მეურნეობა | | | | | |
| | 2005 წ. | 36,56 | 2,7 | 39,26 | 45,02 | + 5,76 |
| | 2007 წ. | 44,18 | 2,7 | 46,88 | 55,6 | + 8,72 |
| | 2007 წ.2005 წელთან +- | + 7,62 | - | 7,62 | 5,4 | + 2,96 |

მონაცემები ფერმერულ მეურნეობებზე მოპოვებულია ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მარცვლეულის (ხორბლის) მწარმოებელი ფერმერული მეურნეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან, სოფ. მუხრანი - 7კა ნათესი ფართობით. მევენახეობის სპეციალიზაციის ფერმერული მეურნეობა კახეთის რეგიონიდან, ყვარლის რაიონი - 8კა სრული მსხმოიარე ვენახის ფართობით. მეკარტოფილეობის სპეციალიზაციის ფერმერული მეურნეობა ქვემო ქართლის რეგიონიდან, მარნეულის რაიონი - 6კა ნათესი ფართობით.

ოპერაციული ბერკეტის ეფექტიანობის განსაზღვრის მთავარ პრინციპებად მივიჩნით წარმოებული პროდუქციის 100%-იანი



საქონლიანობის დონე; რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 100%-იანი აღიარება; დახარჯული მასალების და შესრულებული სამუშაოების შეფასება მიმდინარე საბაზრო ფასებით.

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საკვლევ ფერმერულ მეურნეობებში 2007 წელს 2005 წელთან შედარებით მარცვლეულის (ხორბლის) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები გაიზარდა 30,9%-ით, ყურძნის რეალიზაციიდან – 32,7%-ით, კარტოფილის რეალიზაციიდან – 10,7%-ით, ამასთან, მოგება ხორბლის რეალიზაციიდან გაიზარდა – 47,8%-ით, ყურძნის რეალიზაციიდან 58,4%-ით, კარტოფილის რეალიზაციიდან კი – 23,5%-ით.

იმისათვის, რომ ფერმერმა მიაღწიოს მოგების მატების მაქსიმალურად შესაძლებელ ტემპს, უნდა დაარეგულიროს არა მარტო ცვლადი, არამედ მუდმივი ხარჯებიც და აქედან გამომდინარე გამოთვალოს რამდენი პროცენტით გაიზრდება მოგება.

ოპერაციული ბერკეტის მოქმედების ძალის განსაზღვრისათვის უნდა გავიანგარიშოთ მთლიანი მარჟის შეფარდება მოგებასთან. მთლიანი მარჟა წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და ცვლად დანახარჯებს შორის. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ მაჩვენებელს უწოდებენ, როგორც დაფარვის თანხას. ფერმერმა ისე უნდა დაარეგულიროს წარმოების მოცულობა, რომ მთლიანი მარჟა საკმარისი იყოს არამარტო მუდმივი ხარჯების დასაფარავად, არამედ მიიღოს მოგებაც.

ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ოპერაციული ბერკეტის (1) ზემოქმედების ძალა} = \frac{\text{მთლიანი მარჟა}}{\text{მოგება}}$$

საკვლევ ფერმერულ მეურნეობებში ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა შეადგენს:

- მარცვლეულის წარმოებაზე –
(12,6 ათასი ლარი – 7,20 ათასი ლარი) : 3,55 ათასი ლარი = 1,52

ეს მიგვითითებს იმაზე, რომ თუ გავზრდით შემოსავალს რეალიზაციიდან 3%-ით, მოგება გაიზრდება, $3 \times 1,52 = 4,56\%$ -ით. რეალიზაციიდან შემოსავლის 10% -ით შემცირებისას მოგება შემცირდება $10 \times 1,52 = 15,2\%$. 2007 წელს 2005 წელთან შედარებით ხორბლის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 30,9 % -ით, რამაც მოგება გაზარდა 47,9%-ით;

- ყურძნის წარმოებაზე –

(27 ათასი ლარი – 15,3 ათასი ლარი) : 9,82 ათასი ლარი = 1,36;

• კარტოფილის წარმოებაზე კი –
(45,02 ათასი ლარი – 36,56 ათასი ლარი) : 5,76 ლარი = 1,47

თუ ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალას განვსაზღვრავთ, როგორც მთლიანი მარჟის პროცენტულ ცვლილებას, მოცემული გაყიდვების ფიზიკური მოცულობის პროცენტული ცვლილებისას, ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$(2) \quad \text{ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა} = \frac{\triangle \text{მთლიანი მარჟა} /}{\triangle K / K}$$

(აქ **K** წარმოადგენს რეალიზაციის ფიზიკურ მოცულობას) ასეთი სახით გათვლილი ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა გვეხმარება გავცეთ პასუხი თუ რამდენად მგრძობიარეა მთლიანი მარჟა გასაყიდი პროდუქციის ფიზიკური მოცულობის მიმართ.

ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალის განსაზღვრა შესაძლებელია აგრეთვე ერთეული პროდუქციის ფასების ცვლადი დანახარჯებით საქონლის ერთეულზე და მუდმივი ხარჯების მთლიანი თანხის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$(3) \quad \text{ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა} = \frac{K \times \text{ფასზე} - K \times \text{ცვლადი დანახარჯები}}{K \times \text{ფასზე} - K \times \text{ცვლადი დანახარჯები} - \text{მუდმივი დანახარჯები}}$$

რა მეთოდითაც არ უნდა განისაზღვროს ოპერაციული ბერკეტის ზემოქმედების ძალა, მისი მიზანია ფერმერმა ზუსტად განსაზღვროს გაყიდვების ის მოცულობა, რაც აუცილებელია სასურველი შემოსავლის მისაღებად. ფერმერი უნდა დარწმუნდეს, რომ წარმოების ფონდტევადობის ზრდის პირობებში იზრდება მუდმივი ხარჯები, ეს კი პირდაპირ ზრდის ბერკეტის ზემოქმედების ძალას და ამცირებს მოგებას. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რაც მაღალია მუდმივი ხარჯების წილი მთლიან მარჟაში, მით უფრო მაღალია ოპერაციული ბერკეტის ძალა.

ყველა ფერმერისათვის აუცილებელია გაარკვიოს ისეთი ცნება, როგორიცაა რენტაბელობის ზღვარი ანუ: მოგების ნულოვანი

წერტილი, კრიტიკული წერტილი, „მკვლარი წერტილი“ თვითმოგების წერტილი, გარღვევის წერტილი.

რენტაბელობის ზღვარი – ესაა რეალიზაციიდან ამონაგების ისეთი დონე, რომლის დროსაც ფერმერს აღარ აქვს ზარალი, მაგრამ არც მოგება აქვს. ასეთ დროს, მთლიანი მარჟა ზუსტად ყოფნის მუდმივი დანახარჯების დაფარვას და მოგება ნულის ტოლია. ე.ი.

მოგება = მთლიანი მარჟა – მუდმივი ხარჯები = 0
(4)

რაც იდენტურია ტოლობისა:

მოგება = რენტაბელობის ზღვარი X მთლიანი მარჟა კოეფიციენტებში ამონაგებთან – დანახარჯი = 0
(5)

ამ ფორმულიდან თუ განვსაზღვრავთ რენტაბელობის ზღვრის მნიშვნელობას, მივიღებთ:

რენტაბელობის ზღვარი = მუდმივი ხარჯები : მთლიანი მარჟა კოეფიციენტებში ამონაგებთან (6)

საკვლევ ფერმერულ მეურნეობებში რენტაბელობის ზღვრის დონემ შეადგინა:

- მარცვლეულის (ხორბლის) წარმოებისათვის:

2005 წელს – 1,85 ათასი ლარი : 0,28 ათასი ლარი = 6,61 ათასი ლარი

2007 წელს – 1,85 ათასი ლარი : 0,21 ათასი ლარი = 8,88 ათასი ლარი

- საღვინე ყურძნის წარმოებისათვის:

2005 წელს – 3,52 ათასი ლარი : 0,22 ათასი ლარი = 16 ათასი ლარი

2007 წელს – 3,52 ათასი ლარი : 0,31 ათასი ლარი = 11,35 ათასი ლარი

- კარტოფილის წარმოებისათვის:

2005 წელს – 2,7 ათასი ლარი : 0,07 ათასი ლარი = 38,57 ათასი ლარი

2007 წელს – 2,7 ათასი ლარი : 0,11 ათასი ლარი = 24,54 ათასი ლარი

